# მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი

## 2022-2025 წლები

### თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

მესტიის მუნიციპალიტეტი ,როგორც ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეული შედის სამეგრელოსა და ზემოსვანეთის მხარეში.

მესტია მდებარეობს მდინარეების მესტიაჭალასა და მულხრის ნაპირებზე ზღვის დონიდან 1500 მ.1968 წელს მიენიჭა დაბის სტატუსი.მესტიაში ნოტიო ჰავაა, იცის ცივი ზამთარი და ხანმოკლე ზაფხული.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია არის **3,044,5** კვკმ. მათ შორის **94,092** კვ. კმ, წყლით დაკავებული ტერიტორია .

მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა დაახლოებით **11,3** ათასიკაცია. მუნიციპალიტეტში **1** დაბა და **17** თემია.

მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში სოფლების რაოდენობა შეადგენს 160.
მესტიის მუნიციპალიტეტში 0-5 წლამდე მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 798.
სასკოლო ასაკის ბავშვების რაოდენობა არის 1593, პენსიონერების რაოდენობა შეადგენს 2074 კაცს.

მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვ/ კილომეტრზე შეადგენს 3,06 კაცს.
მესტიის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 6707- კაცს.
მაღალმთიანი მოსახლეობის რაოდენობა, რომელთაც სტატუსი აქვთ მინიჭებული შეადგენს 7724 კაცს.
მესტია ქართული ხუროთმოძღვრებისა და ეთნოგრაფიის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლია. აქ კარგადაა შემონახული შუა საუკუნეების საერო, საკულტო და თავდაცვითი ნაგებობები.

მესტია მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით. მათგან აღსანიშნავია სვიმონ მესვეტის ხატი (XI ს., მაცხოვრის ეკლესია), საკურთხევლის წინა ჯვარი და მაცხოვრის ხატი (მთავარანგელოზთა ეკლესია). მესტიის სვანეთის ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია ქართული ჭედური ხელოვნების მრავალი ღირსშესანიშნავი ნიმუში, ძველი ქართული ენისა და მწერლობის უძველესი ძეგლები.

საკულტო ნაგებობათაგან აღსანიშნავია: მაცხოვრის (მაცხვარიშ) ქვით ნაგები ორსართულიანი ეკლესია (XIII-XIV სს.), რომლის კედლებსაც მაღალოსტატურად მოხატული ფრესკები ამკობს; ღვთისმშობლის (ლამარია) ეკლესია (განვითარებული შუა საუკუნეები) მოხატულობითა და წარწერეით; სეტის მთავარანგელოზთა (თარნგზელ) და ფუსტის ეკლესიები. შემონახულია აგრეთვე სვანური სახლ-სიმაგრეები - გალავნით შემოზღუდული ერთიანი კომპლექსი, რომელშიც შედის კოშკი, მასზე მიდგმული საცხოვრებელი (მაჩუბი) და სამეურნეო დანიშნულების სხვა შენობები.

მუნიციპალიტეტის შემოსავლებს უზრუნველყოფს: ქონების გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები, დამატებით ღირებულებიდან და სხვა შემოსავლებიდან მიღებული შემოსავლები .

ბოლო წლების მონაცემები მეტყველებენ, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების ყველაზე დიდი კომპონენტი არის ქონების გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები. მიუხედავად იმისა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტს აქვს საშუალება საკუთარი შემოსავლებით გარკვეულწილად დამოუკიდებლად უზრუნველყოს თავისი ექსკლუზიური უფლებამოსილებები, იგი მაინც საჭიროებს კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარებას.

## თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

### 2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2022-2025 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2022-2025 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასვე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა მესტიის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში.დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია ფინანსთა სამინისტროს მიერ საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზრვა შემდეგნაირად:

| დასახელება | 2020 წ ფაქტი | 2021 წ გეგმა | 2022 წლის გეგმა | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის გეგმა | 2025 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსავლები | 24103.17 | 11888.20 | 17631.40 | 17669.30 | 19767.90 | 21172.40 |
| გადასახადები | 12713.65 | 10263.20 | 15691.40 | 15869.30 | 17847.90 | 19937.40 |
| გრანტები | 9428.50 | 125.00 | 140.00 | 125.00 | 125.00 | 125.00 |
| სხვა შემოსავლები | 1961.02 | 1500.00 | 1800.00 | 1675.00 | 1795.00 | 1110.00 |
| ხარჯები | 9872.35 | 10360.71 | 12899.23 | 12207.25 | 13205.16 | 13640.28 |
| შრომის ანაზღაურება | 1372.39 | 2380.60 | 2614.00 | 2479.00 | 2579.00 | 2662.00 |
| საქონელი და მომსახურება | 2494.98 | 2112.70 | 2665.90 | 2430.50 | 2457.03 | 2529.09 |
| პროცენტი | 156.47 | 136.20 | 105.00 | 110.25 | 115.76 | 121.55 |
| სუბსიდიები | 3794.14 | 4371.21 | 5398.33 | 5522.50 | 6345.38 | 6681.64 |
| გრანტები | 3.92 | | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 512.40 | 443.00 | 542.00 | 568.00 | 591.00 | 610.00 |
| სხვა ხარჯები | 1538.05 | 917.00 | 1574.00 | 1097.00 | 1117.00 | 1036.00 |
| საოპერაციო სალდო | 14230.82 | 1527.49 | 4732,17 | 5462.05 | 6562.74 | 7532.12 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 11145.12 | 1274.99 | 4452,17 | 5182.05 | 6262.74 | 7232.12 |
| ზრდა (ა) | 13552.35 | 1274.99 | 4452,17 | 5182.05 | 6262.74 | 7232.12 |
| კლება (ა) | 2407.23 | 0.00 | 0.00 | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მთლიანი სალდო | 3085.70 | 252.50 | 280.00 | 280.00 | 300.00 | 300.00 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 2160.02 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| ზრდა (ფ) | 2160.02 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 2160.02 | | 0.00 | | | |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.00 | | 0.00 | | | |
| კლება (ფ) | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| ვალუტა და დეპოზიტები | | | 0.00 | | | |
| ვალდებულებების ცვლილება | -925.68 | -252.50 | -280.00 | -280.00 | -300.00 | -300.00 |
| კლება (ვ) | 925.68 | 252.50 | 280.00 | 280.00 | 300.00 | 300.00 |
| საშინაო | 925.68 | 252.50 | 280.00 | 280.00 | 300.00 | 300.00 |
| სესხები | 925.68 | 252.50 | 280.00 | 280.00 | 300.00 | 300.00 |
| ბალანსი | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |

**2.2გასული 2020 წლის და მიმდინარე 2021 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულება**

მესტიისმუნიციპალიტეტის 2020 წლისბიუჯეტი დამტკიცდა საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 15 დადგენილებითდა განისაზღვრა 11 230,0 ათასილარისოდენობით.

შემდგომ, საფინანსო წლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილ იქნა ცვლილებები საკრებულოს ნორმატიული აქტებით, რაც ეხებოდა: გრანტების სახით გამოყოფილი თანხების, წლის დასაწყისში არსებულ ვალდებულებათა ქვეშ მყოფი და თავისუფალი თანხების ბიუჯეტში ასახვას, ასევე ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგად ეკონომიკის ფუნქციონირებაში გამოწვეული შეფერხებების შესაბამისად ბიუჯეტის ცვლილებას

განხორციელებული ცვლილებების შედეგად წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის დაზუსტებულმა მოცულობამ მთლიანობაში შეადგინა 29 202,1ათასი ლარი,

2020 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობები (შემოსავლები,არაფინანსური აქტივების ზრდა) განისაზღვრა 23 490,0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 26,510,3ათასი ლარი, ანუ გეგმის 113 %-..მათ შორის:

ბიუჯეტის შემოსავლების(გადასახადები, გრანტები, სხვაშემოსავლები)სახით მობილიზებულია 24,103,2ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (21,177,5ათასილარი)113% -იამათ შორის:

გადასახადებისსახით მობილიზებულია 12,713,6ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 10 513,4 ათასი ლარის 120%-ია.აკუმულირებული თანხის უდიდესი ნაწილი ქონების გადასახადზე მოდის. ქონების გადასახადიდან მიღებულია 8,989,0 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 7,135,9 ათასი ლარი, მიწის გადასახადი - 1,842,4 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 10,3 ათასი ლარი,

გრანტებისსახით მიღებულია 9,428,5 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად (საზოგადოებრივი ჯანდაცვა,წვევამდელი გაწვევის სამსახურის და სკოლების თანადაფინანსების პროგრამების დაფინანსება) – 636,0 ათასი ლარი,კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია - 8,792,5 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლებისსახით მობილიზებულია1,961,0ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 1,222,0 ათასილარის160%-ია.

ათასი ლარი

| დასახელება | 2020 წელი | | | |
|---|---|---|---|---|
| | გეგმა | ფაქტი | +/- | % |
| შემოსავლები | 21,177,5 | 24,103,2 | 2 925,7 | 113 |
| გადასახადები | 10 513,4 | 12,713,6 | 2 200 ,2 | 120 |
| გრანტები | **9 442,1** | 9,428,5 | -13,6 | 99 |
| სხვაშემოსავლები | 1,222,0 | 1,961,0 | 739,0 | 160 |

არაფინანსური აქტივების კლებიდან 2020 წელს მობილიზებული იქნა 2,407,2ათასილარისშემოსავალი, რაც გეგმის (2,312,5 ათასი ლარის) 104%-ია.მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 2,384,6 ათასი ლარი,არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან - 22,6 ათასი ლარი.

2020 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა5,712,2 ათასი ლარი.

2020 წელს გადასახდელების საკასო შესრულების მაღალი - 84%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 24 413,0 ათას ლარს შეადგენს,

მუნიციპალიტეტის2020 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 3852,9ათასი ლარი;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა –13 186,0ათასი ლარი;

- ✓ გარემოს დაცვა – 1161,0ათასი ლარი;
- ✓ საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 1 008,8ათასი ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა –138,0ათასი ლარი;
- ✓ დასვენება და კულტურა– 1537,4ათასი ლარი;
- ✓ განათლება –2025,9ათასი ლარი;
- ✓ სოციალური დაცვა –577,0ათასილარი.
- ✓ მუნიციპალიტეტმა 2020წელს სესხის დასაფარად მიმართა საბიუჯეტო სახსრებიდან 1 082,1 ათ.ლარი.

პანდემიით შექმნილი საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით დაიგეგმა საგანგებო ბიუჯეტი (ორგანიზაციული კოდი 01 06) განესაზღვრა ბიუჯეტი 599,6 ლარის ოდენობით ,რაც განკუთვნილ იქნა მიზნობრივად გაჭირვებულ მოსახლეობისთვის საკვები პროდუქტების, სამედიცინო საგნების შეძენის და სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად.

**მუნიციპალიტეტის2020 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:**

| მესტიის მუნიციპალიტეტის 2020წლისბიუჯეტებისხარჯებისსტრუქტორა ფუნქციონალურ ჭრილში (ათას ლარებში) | | |
|---|---|---|
| დასახელება | 2020 წელი | |
| საერთოდანიშნულებისსახელმწიფომომსახურება | **3852,9** | **16,4** |
| ეკონომიკურისაქმიანობა | **13186, 0** | **56.1** |
| გარემოს დაცვა | **1161,3** | **5** |
| საბინაო-კომუნალური მეურნეობა | **1 008,8** | **4,3** |

| | | |
|---|---|---|
| ჯანმრთელობის დაცვა | 138,0 | 0.1 |
| დასვენება დაკულტურა | 1537,4 | 6,6 |
| განათლება | 2025,9 | 8,6 |
| სოციალური დაცვა | 577,0 | 0,2 |
| სულ ხარჯები | 23 487,4 | 100.0 |

2020 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 24 413,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (29 202,1 ათასი ლარი) 84%-ია. მათ შორის:

- ✓ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია -14 164,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (17 612,3 ათასი ლარი) 80 %-ია;
- ✓ მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა--715,1 ათასი ლარი,რაც გეგმის( 762,3 ათასი ლარი) 94%-ია.
- ✓ განათლება - 2 026,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 335,4 ათასი ლარი) 87%-ია;
- ✓ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 1 567,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 672,7 ათასი ლარი) 94%-ია.
- ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1 161,3 ათასი ლარი, რაც გეგმის( 1 251,4 ათასი ლარი), 93%-ია.
- ✓ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 4 778,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (5 568,0 ათასი ლარი) 86%-ია.

2020 წელს განხორციელდა ინფრასტრუქტურის შემდეგი პროექტები:

- იდლიანის ტერიტ.ერთეულში და ცხუმარის ტერ.ერთეულში დაკიდული ხიდების ფენისის გამოცვლა,
- ბეჩოს ტერ.ერთეულში სოფ.მაზერის დამაკავშირებელი ხიდის მოწყობ,
- მულახის ტერიტ.ერთეულში სოფ.ჟამიშის და სოფ. ჭოლაშში გადასასვლელი რკინა-ბეტონის ფილების მოწყობა,
- იფარის ტერიტ.ერთეულში მდ. ენგურზე საავტომობილო ხიდის სარემონტო სამუშაოები ,
- ბეჩო ტერიტ.ერთეულში სოფ. ტვებიშის ხიდის მოწყობა,
- მულახი-ჭოლაში-მაჯვდიერი, ბეტონის გზის საფარის მოწყობა,
- ცხუმარისა და ფარის ტერიტ. ერთეულებში მთის სავარგულებისაკენ მისასვლელი გზის და დ.მესტიაში ცხაკვზაგარისკენ მისასვლელი გზების გაჭრა და გაზმენდითი სამუშაოები,
- მულახის ტერ.ერთეულში სოფ.მურშკელში საყრდენი კედლების სამუშაოები,
- დ.მესტიაში ბეთქილის ქუჩაზე გრანიტის ქვაფენილით გზის საფარის მოწყობის სამუშაოები
- დ.მესტიაში გივი ჯაფარიძისა და უშბის ქუჩებზე საყრდენი კედლების მშემებლობა,
- ლატალის ტერიტ.ერთეულში სოფ.ლახუშდის სამანქანო გზის საყრდენი კედლების მოწყობა,

- ცხუმარის.ტერიტ. ერთეულში მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია,
- დ. მესტია- რაშიზ ნაკანის ქუჩის რეაბილიტაცია,
- მულახისტერიტ.ერთეულშისო.მაჯვდიერდანსოფ. ჟაბეშამდეგზისრეაბილიტაცია,
- მულახისტერიტ.ერტეწულშისოფ.ლახირსადასოფ.ჩვაბიანისგზის საყრდენიკედლებისმშენებლობა,
- შპს.“ზესტტრანს“ --ლენჯერი-დ.მესტია-სოლშიდამესტიაში გზისსაყრედენიკედლებისმშენებლობა,
- ლეჯერისტერიტ. ერთეულშისოფ.ლემსიაში გზისსაყრდენიკედლებისმშენებლობა-
- ქვედავედისგარეგანათებისმოწყობა,
- ლატალისბაღისმშენებლობა,
- სპორტულიინფრასტრუქტურისრეაბილიტაცია,
- სოფ.ბეჩოშისაბავშვობაღებისრემონტი,
- სასწავლოცენტრისრეაბილიტაცია,
- ი.ქართველისსახელობისსკოლა-გიმნაზიისსპორტდარბაზისრემონტი,
- მულახისტერი.ერთეულშისოფ.მუჟალისსკოლისსველიწერტილებისრეაბილიტაცია,
- მესტიისმუნიციპალიეტისიფარისტერ.ერთეულშიალტერნატიულიფართისსარემონტოსამუშაოები,
- ფარისტერიტ. ერთეულშისპორტდარბაზისშენობისმეორეეტაპისსამუშაოებისშესრულება,
- ნაკრისტერიტ.ერთეულშისპორტდარბაზისსამშენებლოსამუშაოები,
- ნაკრაშიახალიამბულატორიისსაშენებლოსამუშაოები.
- მულახისტერტ.ერთეულშისოფ.ცალდაშისღელეზეგაბიონისმოწყობა,
- დ.მესტიაშიმესტიახევზემდინარისკალაპოტისდეზებისმოწყობა.
- სტიქიისსედეგადდაზიანებულიიფარისტერ.ერტულშისოფ.ადიშთანმისასვლელიგზისადანაპირსამაგრისამუშაოებიდამულახისტერიტ.ერთეულშიხერაშის, ჩვაბიანისადაკაბეშისღელეებისგანტვირთვა,
- კალასტერიტ.ერთეულშიმდ.ხალდეშურაზეგაბიონისმოწყობა.

დასუფთავების და კეთილმოწყობის პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა:

- 2020 წლის საბიუჯეტო გეგმით აშენდა და მოეწყო საოფისე შენობა.
- შემოიღობა აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნაგავსაყრელი,
- შეძენილ იქნა ნაგვის კონტეინერები 1.1 მ3 ტევადობის 30 ცალი,
- 240 ლიტრიანი 30 ცალი და 60 ლიტრიანი ჩამოსაკიდი 30 ცალი,
- შეიცვალა ძველი კონტეინერები ახლით,
- შეძენილია 16000 ლარის სატვირთო ავტომობილი ნაგვის მოსაგროებლად
- ჩატარდა დასუფთავების აქცია,
- გაიწმინდა გზა სოფელ ბარჯაშამდე,
- გაუქმდა ნაგავსაყრელები სოფელ მულახსა და კალაში,
- შევიძეინეთ სარეკლამო ბანერები და სტიკრები წარწერით „ნუ დაყრი ნაგავს, გავუფრთხილდეთ გარემოს“, თუმცა პანდემიის გამო ვერ შევძელით შესაფერის ადგილებში განთავსება, მოცემული სარეკლამო მასალა განთავსდება 2021 წელს, ხალხმრავალ ადგილებში,

- 2020 წელს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიიდან გადაეცა ორგანიზაციას: 6 ერთეული მცირე ზომის ტრაქტორი, 1 მრავალფუნქციური ტრაქტორი, ასევე 2 მუხლუხიანი ტრაქტორი, 1 გადამყვანი მანქანა, 1 თოვლმწმენდი. (ზემოთ აღნიშნული ტექნიკიდან 4 ერთეული ექსპლუატაციისთვის უარგისია და მიმდინარეობს მათი შეკეთება),
- მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებით ზემოთ აღნიშნული ტექნიკით (6 ერთეული მცირე ზომის ტრაქტორი) დამუშავდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასოფლო სამეურნეო სავარგულები. სულ დამუშავებულმა ფართობმა შეადგინა 245580 კვმ.
- სოციალურად დაუცველებს გავუწიეთ მომსახურეობა უსასყიდლოდ.

2020 წელს განხორციელდა კულტურის ღონისძიებები:

- 3 მარტი ,,დედის დღე'' მთელი სვანეთის მასშტაბით შერჩეულ იქნა 11 მრავალშვილიანი დედა,

რომელთაც გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. პანდემიის რეგულაციებიდან

გამომდინარე არ ჩატარდა დაგეგმილი კულტურული ღონისძიება.

- 1-ლი ივნისი ,,ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე''კოვიდ 19-თ გამოწვეული რეგულაციების დაცვით, ბახვა წერედიანმა სრულიად უსასყიდლოდ წარმოადგინა მარიონეტების თეატრ ,,ნიკოლო''-ს

პერფორმანსების სერია. წარმოდგენას ესწრებოდნენ ბავშვები მესტიის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა თემიდან.

- . ანსამბლი ,,რიჰო'' მივლინებულ იქნა ,,black see arena''-ზე ანზორ ერქომაიშვილის საიუბილეო საღამოსთან დაკავშირებულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად.
- 4. ა(ა)ი.პ. მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრის მიერ ინიცირებულმა პროეტმა ,,ბეთქილ'' გაიმარჯვა და მოიპოვა გრანტი 15350(თხუთმეტიათას სამასორმოცდაათი) ლარის ოდენობით,
- კონკურსში სახელწოდებით ,,მაღალმთიან რეგიონებში კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობა'' რომლის პრემიერა გაიმართა 9, 10 და 11 ოქტომბერს. სპექტაკლი 25 ოქტომბერს მიწვეული იყო ლიეტუვის ესპუბლიკის ქ. ტელშაის თეატრალურ ფესტივალზე, რომელიც პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა.
- 5. 9 და 10 ნოემბერს, კოვიდ 19-თ გამოწვეული რეგულაციების სრული დაცვით მესტიის ლეო ფილფანის სახელობის თეატრის ღია სივრცეში ჩატარდა თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლები ,,მგზავრის წერილები'' და ,,გვესტუმრეთ ზღაპართა ქვეყანაში''.
- 20-დან 28 დეკემბრის ჩათვლით მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრის მიერ განხორციელდა მესტიის ქუჩების საახალწლო განათებების მოწყობა-მონტაჟი,

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის მიერ განხორციელდაშემდეგი სოციალური პროგრამები:

- ბავშთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამაზე მიიმართა --42,3 ათასი ლარი

- მძიმე კატეგორიის ავადმყოფების სოციალური დაცვის პროგრამაზე მიიმართა--228,4 ათასი ლარი.
- ვეტერანთა (ხანდაზმულთა) სოციალურდაცვის პროგრამაზე მიიმართა 83 ათასი ლარი.

- მესტიის მუნიციპალიტეტისოჯახებისადაბავშვებისსოციალური დაცვის პროგრამაზე მიიმართა -189,7 ათასი ლარი.

- სტიქიისშედეგადდაზარალებულიოჯახებისდახმარებისთვიის მიიმართა -108,3 ათასი ლარი.

- შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსებისთვის მიიმართა 72,2 ათასი ლარი.

- რაიონში იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებლებმა 2020 წელს შეადგინა: ბცჟ და ბ ჰეპატიტი- 100 %; დყტ+ჰიბ+ჰეპატიტი ბ+იპვ -65 %; ტეტრაქსიმი(1 წ. 6 თვის ასაკში) -61 %; ტეტრაქსიმი (5 წლის ასაკში)-49 %; წწყ (1 წლის)-64 %; პნევმოკოკი-60%; აპვ (ადამიანის პაპილომა ვირუსი)-44%.
- სამედიცინო სტატისტიკურ ანგარიშგებაზე ზედამხედველობა
  ყოველთვიური ანგარიში-1სამედიცინო დაწესებულებიდან, 14 ფიზიკური პირიდან; (სტანდარტული ფორმა IV-02-7, ფორმა IV-03 -58, ფორმა IV-04 -28,
  კვარტალური ანგარიში-2 (ფორმა IV-07, IV-07/1 );
  სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენურ ნორმებზე ზედამხედველობა არ განხორციელებულა, ვინაიდან ზ.ა.დაწესებულებები არ ფუნქციონირებენ COVID-19 პანდემიის გამო.

- ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, COVID-19 ახალი შემთხვევების გამოსავლენად დაიგეგმა აქტიური ეპიდზედამხედველობა და მასიური ტესტირება განხორციელდა 3509 საკვლევი ნიმუშის აღება.

- აივ/შიდსის ინფექცია, C ჰეპატიტის,ტუბერკულოზის კვლევა
  დადებითი C 160 პიროვნებას აღოაჩნდა- კონფირმაციული კვლევა ჩატარებული და დადასტურებული აქვს 138. მკურნალობაში ჩაერთო -39 განიკურნა 10.
- დადებითი აივ/ინფექცია შიდსი -3 პიროვნებას აღმოაჩნდა-მიმდინარეობს კვლევა, ტუბერკულოზი- პროგრამის ფარგლებში 3 პიროვნებას აღმოაჩნდა.

განათლება:

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს შორის არის განათლების ხელშეწყობა

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბავშვთა მეთვალყურეობა, მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სწავლების დონის, შესაბამისი პროგრამების, სასწავლო და მეთოდური მასალების განსაზღვრა; სრულფასოვანი კვება. შენობების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა.პანდემიის პირობებში საჭირო რეგულაციების სრული დაცვა სკოლამდელ დაწესებულებებში. სკოლამდელ აღსაზრდელების რაოდენობა შეადგენს 550.

შედეგი: დაწესებულებებში შექმნილი უსაფრთხო და კომფორტული გარემო მომავალი თაობის სრულფასოვანი აღზრდა–განვითარებისათვის

სკოლამდელი დაწესებულებებში გაუმჯობესებული მატერიალურ ტექნიკური-პირობები,

ახალი რეგულაციებით გათვალისწინებული უსაფრთხო სადეზინფექციო საშუალებებით ,უკონტაქტო თერმომეტრებით, დეზობარიერებით დაცული გარემო.

აღსაზრდელთა კვება მრავალფეროვანი, ჯანსაღი და სრულყოფილია

მშობლები მოტივირებულნი არიან რეგულარულად ატარონ ბავშვები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, აღსაზრდელთა გამოცხადების რეგისტრირებულ რაოდენობასთან სხვაობის შემცირება

ბავშვები ფიზიკური განვითარებისათვის სათანადო პირობებით უარუნველყოფა,

კეთილმოწყობილი გარემო.

პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება საჯარო სკოლების თანადაფინანსება, განათლების სამინისტროდან მთავრობის #27 განკარგულებით გამოიყო 962,0 მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის და საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობის უზრუნველსაყოფად.

შედეგად ვიღებთ მოსწავლეების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფას და სკოლებში გაუმჯობესებულ ინფრასტრუქტურას.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- ბეჩოს ტერ.ერთეულში სოფ.მაზერში საჯარო სკოლის სველი წერტილების სარემონტო სამუშაოები,
- მულახის ტერი.ერთეულში სოფ.მუჟალის სკოლის სველი წერტილების რეაბილიტაცია,
- კალის ტერიტ.ერთეულში საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობა,
- დ,მესტიაში მესამე საჯარო სკოლის სველი წერტილების სარემონტო სამუშაოები,

- მულახის ტერიტ. ერთეულში სოფ.მუჟალში და ჭოლაშში საჯარო სკოლის სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

## 2021 წლის ბიუჯეტის 6 თვის მაჩვენებლები

მუნიციპალიტეტის 2021 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 15 480,6 ათას ლარს.ბიუჯეტის შემოსავლების სახით 2021 წლის 6 თვის მონაცემებით მობილიზებულია 13 376,8 ათასი ლარი, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის (10 452,0 ათასი ლარი)128%-ია,მათ შორის:

გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ 6 თვეში შეადგინა 9 256,6 ათასი ლარი, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის (15 480,6 ათასი ლარი) 60%-ია;

გრანტების სახით ბიუჯეტშიჩარიცხულია2 085,1 ათასი ლარი, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის (3 951,6 ათასი ლარი) 53%-ია, აქედან:სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, კერძოდ: მიზნობრივიტრანსფერიდელეგირებულიუფლებამოსილებისგანსახორციელებლად –521,5 ათასილარი, კაპიტალური ტრანსფერი- 1 553,0 ათასი ლარი,საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტი- 10,6 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია1 082,3 ათასი ლარი, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის (693,9 ათასი ლარი)155%-ია, მათ შორის:პროცენტების სახით მიღებულია304,3 ათასილარი, რენტის სახითმობილიზებულია675,7 ათასილარი,საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია76,0 ათასილარი, ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა - 0,5 ათასი ლარი, სანქციები (ჯარიმები და საურავები) –25,8 ათასი ლარი.

2021 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 7,903,4 ათასი ლარი.

| მესტიის ბიუჯეტის 2019–2021წლისშემოსულობებისშესახებ (ათასლარებში) | | | |
|---|---|---|---|
| | 2019წლის 6თვე | 2020წლის6თვე | 2021წლის 6თვე |
| გადასახადები | **5068,6** | **7931,8** | **10209,4** |
| ქონებისგადასახადი | **3546,8** | **6309,7** | **8140,9** |

| | | | |
|---|---|---|---|
| დღგგადასახადები | 1521,8 | 1622,0 | 2068,5 |
| გრანტები | 1014,1 | 1110,4 | 2085,1 |
| სხვაშემოსავლები | 619,0 | 682,1 | 1082,3 |
| არაფინანსურიაქტივებისკლება | 1185,0 | 2384,7 | |
| ფინანსური აქტივების კლება | | | |
| სულ შემოსულობების ჯამი | 6702,9 | 12109,0 | 13376,7 |

მოცემული სტატისტიკა ცხადყოფს რომ ,შემოსავლები საგრძნობლად არის მომატებული ყოველ მომდევნო წელს, შემოსავლები ძირითადად შედგება გადასახადების,დღგ გადასახადისა და სხვა შემოსავლებისგან.

2021 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 6 თვის განმავლობაში მიმართულ იქნა 9,256,6 ათასი ლარი,რაც 6 თვის გეგმის (15 480,6 ათასი ლარი)60%-ი. მათ შორის:

- ✓ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 3 620,6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (8 834,9 ათასი ლარი) 41 %-ია;
- ✓ მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა--442,4ათასი ლარი,რაც გეგმის( 513,9ათასი ლარი) 86%-ია.
- ✓ განათლება - 1 143,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 355,8 ათასი ლარი) 84%-ია;
- ✓ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 970,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 191,5 ათასი ლარი) 81%-ია.
- ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვა - 600,0 ათასი ლარი, რაც გეგმის( 686,4 ათასი ლარი), 87%-ია.
- ✓ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 2 480,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 898,0 ათასი ლარი) 86%-ია.

მესტიის მუნიციპალიტეტის 2019-2021წლებისბიუჯეტებისექვსი თვის ხარჯებისსტრუქტორა ფუნქციონალურ ჭრილში

| მესტიის მუნიციპალიტეტის2020-2021წლებისბიუჯეტებისხარჯებისსტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში (ათას ლარებში) | | | | |
|---|---|---|---|---|
| დასახელება | 2020 წელი | | 2021 წელი 6 თვის ფაქტი | |
| საერთოდანიშნულებისსახელმწიფომომსახურება | 3852,9 | 16,4 | 2,361,0 | 25,7 |
| ეკონომიკურისაქმიანობა | 13186, 0 | 56.1 | 3477,8 | 37,9 |
| გარემოსდაცვა | 1161,3 | 5 | 600,0 | 6,5 |
| საბინაო-კომუნალურიმეურნეობა | 1 008,8 | 4,3 | 181,0 | 1,9 |
| ჯანმრთელობისდაცვა | 152,6 | 0.1 | 102,2 | 1,11 |
| დასვენებადაკულტურა | 1537,4 | 6,6 | 938,4 | 10,2 |
| განათლება | 2025,9 | 8,6 | 1143,5 | 12,4 |
| სოციალურიდაცვა | 577,0 | 0,2 | 361,7 | 3,9 |
| სულხარჯები | 23 487,3 | 100.0 | 9165,6 | 100.0 |

2021 წელს განხორციელდება ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის შემდეგი პროგრამები:

- ბავშთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამაზე მიიმართება --31,0 ათასი ლარი.
- მძიმე კატეგორიის ავადმყოფების სოციალური დაცვის პროგრამაზე მიიმართება--244,0 ათასი ლარი.
- ვეტერანთა (ხანდაზმულთა) სოციალურ დაცვის პროგრამაზე მიიმართება 10,0 ათასი ლარი.
- მესტიის მუნიციპალიტეტის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამაზე მიიმართება -166,7 ათასი ლარი.
- სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარებისთვიის მიიმართება -81,3ათასი ლარი.
- შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსებისთვის მიიმართება-87,8 ათასი ლარი.
- უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისთვის მიიმართება -50,9 ათასი ლარი.
- ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსებისთვის მიიმართა - 20,0 ათასი ლარი.

  - მოსახლეობის საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე, გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი გზების მშენებლობაზე, შიდა ქუჩების რეაბილიტაციაზე, გზის დამცავი საყრდენი კედლების მშენებლობის სამუშაოებზე 2021 წელს დაგეგმილია 8945,7 ათასი ლარი;
  - ინფრასტრუქტურის ობიექტების: სკოლების საბავშო ბაღების და მრავალფუნქციური შენობების მშენებლობა და აღდგენა–რეკონსტრუქციისათვის მიმართულია 3,281,9 ათასი ლარი.
  - წყლის და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციაზე მიმართულია -574,4 ათასი ლარი.
  - სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე დაგეგმილია 377,9 ათასი ლარი.
  - სამოქალაქო ბიუჯეტი დაგეგმილია 50,0 ათასი ლარით.
  - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის მიზნით მიიმართა 1 579,2 ათასი ლარი.
  - სკოლებისთანადაფინანსებისუზრუნველსაყოფადმიიმათება595,8ათასილარი.
  - საგანგებო ბიუჯეტით მიმართულია 50,0ათასილარი.
  - ახალგაზრდულიპროგრამებისგანსახორციელებლადმიიმართა -193,3ათასი ლარი.

  სესხების მომსახურებასა დავალების დაფარვა ზე მიიმართება 388,7ათასილარი.(ათას ლარებში)

## თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

### თვითმმართველი ერთეული მესტიის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2021 წელს მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია.

კორონავირუსით გამოწვეულმა ნეგატიურმა ზემოქმედებამ გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად მესტიის მუნიციპალიტეტზე. მიუხედავად აღნიშნულისა ბოლო 3 წლის განმავლობაში ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები მუდმივად გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდებოდა და შესაბამისად იზრდბოდა მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულებები.

პანდემიასთან დაკავშირებით გაუარესდა როგორც ეკონომიკური, ასევე ფისკალური პროგნოზები. ამის გათვალისწინებით, მიმდინარე პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკურიპოლიტიკა მიმართული იქნება ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ, რათა საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის განვითარების დონე დაუბრუნდეს პოტენციურ მაჩვენებელს და უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

2022-2025წლებში მესტიის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებები ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.
ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ეკონომიკის განვითარებას.

## მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

შემუშავდა 2022– 2025 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ინფრასტრუქტურა;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- წარმომადგენლობითი და ღმასრულებელი ხელისუფლება;

| 2022-2025წლებში ასიგნებების ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პრიორიტეტის კოდი | პრიორიტეტის დასახელება | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი | 2025 წელი |
| | | 17 631,4 | 17,669.30 | 19,767.90 | 21,172.40 |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება | 5 816,6 | 5 383,7 | 5 527,8 | 5 759,1 |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 96 | 95 | 95 | 95 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურა | 6 045,3 | 6 126,0 | 7 226,7 | 8 101,1 |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 15 | 14 | 14 | 14 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1 300,0 | 1 800,00 | 2 500,00 | 2 500,00 |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 80 | 80 | 80 | 80 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04 00 | განათლება | 1 452,0 | **1 550,00** | **1 650,00** | **1 700,00** |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 190 | 190 | 190 | 190 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 2 186,2 | **2 060,00** | **2 125,00** | **2 182,0** |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 227 | 227 | 227 | 227 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 831,3 | **852,00** | **888,00** | **926,00** |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 18 | 18 | 18 | 18 |
| *სულ ჯამი* | | *17 631,4* | *17669,3* | *19767,9* | *21172,4* |

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | 2020 ფაქტი | 2021 გეგმა | 2022 წ გეგმა | 2023 წელი პროგნოზი | 2024 წელი პროგნოზი | 2025 წელი პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00 00 | ჯამური | 24320.20 | 11,888.20 | 17 631,4 | 17,669.30 | 19,767.90 | 21,172.40 |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 4801.7 | 5,026.30 | 5 816,6 | 5,383.75 | 5,527.79 | 5,759.13 |
| 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 635.6 | 1,029.00 | 1 151,9 | 1,120.00 | 1,119.00 | 1,180.00 |
| 01 02 | მესტიის მუნიციპალიტეტის მერია | 2396,3 | 3 252,0 | 3 824,5 | 3,464.50 | 3,601.03 | 3,691.58 |
| 01 03 | სარეზერვო ფონდი | 0 | 200.00 | 300,0 | 300.00 | 320.00 | 350.00 |
| 01 04 | წინა პეროდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი | 1082,1 | 388.70 | 385,0 | 390.25 | 415.76 | 421.55 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01 04 02 | მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა | 1082,1 | 388.70 | 385,0 | 390.25 | 415.76 | 421.55 |
| 01 05 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 74,5 | 96.60 | 105,2 | 38.00 | 38.00 | 42.00 |
| 01 06 | საგანგებო ბიუჯეტი | 543,8 | 50.00 | 50,0 | 50.00 | 50.00 | 50.00 |

## 3.1 ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

| ორგანიზაციულიკოდი | დასახელება | 2020 ფაქტი | 2021 გეგმა | 2022 წგეგმა | 2023 წელიპროგნოზი | 2024 წელიპროგნოზი | 2025 წელიპროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 14048.9 | 1,973.40 | 6 045,3 | 6,126.05 | 7,226.74 | 8,101.12 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები) | 7923.8 | 120.00 | 1050,0 | 2,320.58 | 2,860.00 | 3,600.00 |
| 02 01 01 | მესტიის მუნიციაპლიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია | 7923.8 | 120.00 | 1 050,0 | 1,160.29 | 1,430.00 | 1,800.00 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02 02 01 | გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 247.3 | 250.00 | 550,0 | 260.00 | 270.00 | 275.00 |
| 02 02 02 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 761.5 | | 150,0 | 200.00 | 500.00 | 800.00 |
| 02 03 | მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 3051.3 | 953.40 | 2 172,0 | 1,640.00 | 1,850.00 | 1,950.00 |
| 02 04 | სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია | 229.2 | 100.00 | 100,0 | 200.00 | 250.00 | 250.00 |
| 02 05 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 1815.8 | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02 06 | რეგიონალური განვითარების ფონდის სახსრებით განხოეციელებული პროექტების თანადაფინანსება | 0 | 500.00 | 1 973,3 | 2,515.76 | 2,712.34 | 2,836.12 |
| 02 08 | სამოქალაქო ბიუჯეტი | 0 | 50.00 | 50,0 | 150.00 | 180.00 | 190.00 |

| პროგრამისდასახელება | კოდი | მესტიის მუნიციაპლიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია | 2022წლის დაფინანსება (ათასლარში) | |
|---|---|---|---|---|
| | 02 01 01 | | 1 050,0 | |
| პროგრამისგანმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახური | | | |
| 2022 წელს დაგეგმილი პროგრამებისაღწერა | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტოტიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაციას, კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის წილი დაახლოებით 15-18%-ს შეადგენს, რომელიც მოიცავს, როგორც ტანადაფინასებას და გზების რეაბილიტაციას, ასევე მიმდინარე შეკეთებას და მოვლა პატრონობას. სარეაბილიტაციო ობიექტების შერჩევა ხორციელდება საჭიროებებიდან გამომდინარე მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შესაბამისად.<br>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს:<br>• საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა.<br>• ხიდების რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა.<br>• საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა<br>ქვეპროგრამების განხორციელების შედეგად დ.მესტიაში დამთავრდება 8,2 კმ სიგრძის 17 ქუჩის რეაბილიტაცია. აშენდება და კეთილმოეწყობა სოფლის ცენტრებთან დამაკავშირებელი 10,5 კმ სიგრძის საავტომობილო გზები. აშენდება 3 საავტომობილო ხიდი. | | | |

| | | |
|---|---|---|
| | საგზაო-ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვის მიმართულებით, რომელიც გულისხმობს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-შეკეთებას, სტიქიის შედეგად დაზიანებული მონაკვეთების შეკეთებას და გაწმენდვას, ზამთრის პერიოდში გზების თოვლისგან გაწმენდვას, მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად სრულდება 300 ათასი ლარის სამუშაოები. პროგრამის განხორციელების შედეგად მოწესრიგდება და კეთილმოეწყობა არსებული გზების 12,2%. | |
| **პროგრამისსაბოლოომიზანიდამოსალოდნელიშედეგი** | პროგრამის საბოლოო მიზანს წარმოაგენს:<br>• მოდერნიზებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა,<br>• გადაადგილების უსაფრთხოების გაზრდა და ტრანსპორტირებისთვის საჭირო ხარჯების შემცირება.<br>პროგრამის ფარგლებში 5 ადმინისტრაციულ ერთეულში რეაბილიტირებული იქნება სოფლის ცენტრებთან დამაკავშირებელი 10,5 კმ საერთო სიგრძის საავტომობილო გზა, დაიგება რკინაბეტონის საფარი. დ.მესტიაშიდამთავრდება 8,2 კმ საერთო სიგრძის 17 ქუჩის რეაბილიტაცია. საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება ხელს შეუწყობს ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა მოწესრიგებულ და უსაფრთხო გადაადგილებას. პირდაპირი და არაპირდაპირ მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა დაახლოებით 10-12 ათასს მიაღწევს.<br>პროგრამის საბოლოო შედეგი:<br>• მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.<br>• საავტომობილო გზების ექსპლოატაციის გაზრდილი პერიოდი. | |
| **შეფასების ინდიკატორები** | საბაზისო მაჩვენებელი[1] | დ.მესტიის ქუჩებისა და სოფლის ცენტრებთან დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია |
| | მიზნობრივი მაჩვენებელი | გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა. |
| | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | 3-4% |
| | შესაძლო რისკები | მშენებლობის პროცესში გამოვლენილი გაუთვალისწინებელი სამუშაოები, სტიქიური პროცესები და კლიმატური პირობები. |
| | საბაზისო მაჩვენებელი[13] | ხიდების მშენებლობა და რეაბილიტაცია |
| | მიზნობრივი მაჩვენებელი | გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა. |
| | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | 3-4% |
| | შესაძლო რისკები | მშენებლობის პროცესში გამოვლენილი გაუთვალისწინებელი სამუშაოები და კლიმატური პირობები. |

[1]ივსება 2020 წლის მოსალოდნელი საბოლოომონაცემები, დამატებით შესაძლებელია მიეთითოს 2019 წლის ფაქტობრივი მონაცემები. მონაცემები ივსება შესაბამისი თარიღის მითითებით.

| | |
|---|---|
| **განხორციელებული პროგრამების და შედეგების ჩამონათვალი** | 2020 წელს საავტომობილო გზების მშენებლობასა და ქუჩების კეთილმოწყობაზე დაიხარჯა 6708207 ლარი. გრძელდება დ.მესტიის ქუჩებისა და მულახის საავტომობილო გზის რაბილიტაცია. დაიწყო ზარგაშის და რ. ნაკანის ქუჩების, ასევე ცხუმარის საავტომობილო გზის მშენებლობა. ზემოთ მითითებული პროექტები არის მრავალწლიანი და გაგრძელდება 2021 წელსაც. მოსალოდნელი შედეგი; გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა. |
| **განხორციელებული პროგრამების და შედეგების ჩამონათვალი** | 2021წლის 9 თვის განმავლობაში ქუჩებისა და საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე შესრულდა 6091210 ლარის სამშენებლო სამუშაოები. გრძელდება დ. მესტიის ქუჩების, ცხუმარის და მულახის საავტომობილო გზის რაბილიტაცია. დაიწყო ეცერის, ლენჯერისა და წვირმის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების მშენებლობა, იდლიანსა და ჭუბერში დევრასთან დამაკავშირებელი ხიდების მშენებლობა. |

| **პროგრამისდასახელება** | **კოდი** | **გარეგანათება** | **2021წლისდაფინანსება (ათასლარში)** |
|---|---|---|---|
| | **02 02 01** | | **550,0** |
| პროგრამისგანმახორციელებელი | **ა(ა)იპ - მესტიის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური** | | |
| 2022 წელს დაგეგმილი პროგრამების აღწერა | სოფ მულახში კოშკების განათება, სოფ ხაიშის გაგრძელება ,სოფ ბეჩოში ბოძების დაყენება,<br>ტენდერით შესაძენია ბოძები ასევე სანათების და დამხმარე მოწყობილობების შეძენა,დ. მესტიაში ცენტრალური ქუჩების ასრსებული განათების გამოცვლა მონტაჟი.<br>ასევე აუცილებლად გასათვალისწინებელია ამწე კალათის შეძენა, არსებული მანქანა არის ძალიან ცუდ მდგომარეობაში. | | |
| პროგრამისსაბოლოომიზანიდამოსალოდნელიშედეგი | განათებული ქუჩები;<br>უსაფრთხო გადაადგილების ხელშეწყობა. | | |
| შეფასებისინდიკატორები | განათებული ქუჩების რაოდენობა | | |

| **პროგრამის დასახელება** | **კოდი** | **წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)** | |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 02 02 02 | | 150,0 | |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახური | | | |
| 2022 წელს დაგეგმილი პროგრამების აღწერა | პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფლებში წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ახალი სისტემების მშენებლობა. გაგრძელდება წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემების პროექტირება. პროგრამის დაფინასება ძირითადან განხორციელდება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან.<br>(საკუთარი შემოსავლები წილი დაახლოებით 25-30%-ით განისაზღვრება).<br>პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ქვეპროგრამებს:<br>• წყალგაყვანილობისა და წყალარინების სისტემების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება<br>• წყალგაყვანილობისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა რეაბილიტაცია.<br>2022 წლისათვის დაგეგმილია წყალგაყვანილობის სისტემების მშენებლობა:<br>• ლენჯერის ადმინისტარაციულ ერთეულის სოფელ ნესუნსა და ლემსიაში<br>• იფარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ადიშში<br>• მულახის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში.<br>• საკანალიზაციო სისტემის მოწყობა სოფელ ადიშში.<br>პროექტის განხორციელების შედეგად სოფლის მოსახლეობა, დაახლოებით 1800 პირდაპირი და არაპირდაპირი ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნება სასმელი წყლითა და საკანალიზაციო სისტემით. აღნიშნული პროგრამა ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას. | | | |
| პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის 3 ადმინისტრაციულ ერთეულის (მულახი, ლენჯერი, იფარი) 7 სოფელში მოეწყობა სტანდარტების შესაბამისი წყალგაყვანილობისა და წყალარინების სისტემები. | | | |
| განხორციელებული პროგრამების და შედეგების ჩამონათვალი | 2020 წელს დაიწყო ცხუმარიის ტერიტორიულ ერთეულსა და ბეჩოს ტერიტორიული ერთეულის სოფელ მაზერში წყალგაყვანილობის სისტემების მშენებლობა და 476 483 ლარის სამუშაოები. პროგრამის განხორციელების მოსალოდნელი შედეგია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწესრიგებული წყლისა და წყალარინების სისტემები, სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა | | | |
| განხორციელებული პროგრამების და შედეგების ჩამონათვალი | 2021 წელს დაიწყო ლატალში სოფელ იენაშის წყალგაყვანილობის სისტემის რეაბილიტაცია. 9თვის განმავლობაში წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე შესრულდა359 579 ლარის სამუშაოები. პროგრამის განხორციელების მოსალოდნელი შედეგია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწესრიგებული წყლისა და წყალარინების სისტემები, სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა | | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში) | |
|---|---|---|---|---|
| | 02 03 | | 2 172,0 | |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახური | | | |

| | |
|---|---|
| 2021 წელს დაგეგმილი პროგრამების აღწერა | პრიორიტეტისფარგლებშიგათვალისწინებულიაშემდეგიქვეპროგრამები;<br>• საბავშვობაღებისმშენებლობადარეაბილიტაცია<br>• საჯაროსკოლებისმშენებლობადარეაბილიტაცია.<br>• სამედიცინოამბულატორიებისმშენებლობადარეაბილიტაცია.<br>• სპორტულგამაჯანსაღებელიინფრასტრუქტურისმშენებლობარეაბილიტაცია.<br>• კულტურულიმემკვიდრეობისძეგლებისშენახვარესტავრაცია<br>• სკვერები, პარკებიდასხვადასასვენებელიადილების მოწყობა<br>საბავშვო ბაღების მშენებლობა ძირითადად ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერით და გაგრძელდება მგფ-ის დაფინანსებით 2021 წელს დაწყებული 6 საბავშვო ბაღის და ერთი საჯარო სკოლის მშენებლობა. ასევე გაგრძელდება საჯარო სკოლების სარემენტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები.<br>სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ქვეპროგრამით გათალისწინებულია სპორტული დარბაზების მშენებლობა კალაში, ლახამულასა და ქვ. იფარში. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ფარგლებში იგეგმება მრავალფუნქციური ობიექტების მშენებლობა სოფელ უშგულში, ადიშსა და იელიში.<br>პროგრამისძირითადმიზანსწარმოადგენსმუნიციპალიტეტისეკონომიკურიდასოციალურიპროგრესისუმნიშვნელოვანესირესურსის-ადამიანურიკაპიტალისდამისიგანვითარებისყველასაფეხურზესათანადოპირობებისშექმნა.აქედანგამომდინარექვეპროგრამებიითვალისწინებენუწყვეტისწავლისსისტემებისგანვითარებისხელშეწყობას, პირველადიჯანდაცვისხელმისაწვდომობისგაზრდას, ჯანსაღიცხოვრებისწესისდამკვიდრებასადასპორტულიინფრასტრუქტურისგანვითარებას. |
| პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | გაზრდილია ადრეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო. პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის მიზნით შექმნილი უსაფრთხო პირობები და გაუმჯობესებულია სპორტული ინფრასტრუქტურა. |
| განხორციელებული პროგრამების და შედეგების ჩამონათვალი | 2020 წელს რეაბლიტირებული იქნა 7 საჯარო სკოლა, კალის, ჭოლაშის, დ. მესტიის №3-ე, მაზერის ეცერის და ლახამულის საჯარო სკოლებში მოეწყო სველი წერტილები და შეიქმნა ადაპტირებული გარემო. მუჟალის სკოლაში გარემონტდა სასმელი წყლის და კანალიზაციის სისტემები. გარემონტდა ალტერნატიული ფართი იფარის სკოლისთვის. დამთავრდა ლატალის საბავშვო ბაღის მშენებლობა, სოფელ დიზში აშენდა |

| | |
|---|---|
| | მრავალფუნქციური შენობა, სადაც განთავსდება საბავშვო ბაღი. ნაკრაში აშენდა სამედიცინო ამბულატორია.აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შესრულდა 1 350 000 ლარის სამუშაოები. |
| განხორციელებული პროგრამების და შედეგების ჩამონათვალი | ს. ლენჯერში დაიწყო სპორტული დარბაზის მშენეებლობა, რეაბილიტირდა ბეჩოს კულტურის სახლი. პანდემიის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების გაძლიერების მიზნით მესტიის საავადმყოფოში მოეწყო ბოქსირებული პალატები. განახლებული რეგიონების პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს დ. მესტიაში სკვერის მოწყობა და მერიის შენობის ფასადის რეკონსტრუქცია. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია | 2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში) | |
|---|---|---|---|---|
| | 02 04 | | 100,0 | |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახური | | | |
| 2021 წელს დაგეგმილი პროგრამების აღწერა | მესტიის მუნიციპალიტეტში ხშირია ბუნებრივი სტიქიური პროცესები და რისკების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ისეთი საპრევენციო ღონისძიებების სისტემატური განხორციელება, როგორიცაა ნაპირდამცავი გაბიონებისა და ჯებირების მშენებლობა, გზის საყრდენი კედლების მშენებლობა და რეაბილიტაცია ღელეებისა და ხევების განტვირთვა-გაწმენდა ღვარცოფებისა და მეწყერის შედეგად ჩამოტანილი ნაშალისაგან. სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია და სხვა. **ქვეპროგრამების ფარგლებში განხორციელდება სოფელ ჟაბეშში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა, დაიწყება რკინაბეტონის არხის მშენებლობა სახიდე გადასასვლელებთან ერთად.** ნაპირსამაგრიდადამცავიგაბიონების აშენდებალენჯერის, ბეჩოს, ნაკრისდაიფარისტერიტორიულერთეულებში, ღელეებიგანიტვირთვებალენჯერსადახაიში. | | | |
| პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | სტიქიის შედეგებისგან დაცული მოსახლეობა, სახნავ სათესი მიწის სავარგულები და სხვადასხვა ინფრასტრუქტურა (გზები, ხიდები, შენობა-ნაგებობები, მიწისქვეშა საკომუნიკაციო ობიექტები და სხვა). | | | |
| განხორციელებული პროგრამების და შედეგების ჩამონათვალი | ღელეების გაწმენდასა და ნაპირდამცავი გაბიონების მოწყობის მიზნით შესრულდა 483 500 ლარის სამუშაოები. | | | |
| განხორციელებული პროგრამების და შედეგების ჩამონათვალი | 2021 წელს ღელეების განტვირთვისა და ნაპირდამცავი კედლების მშენებლობაზე გასული 9 თვის განმავლობაში შესრულდა 228 042 ლარის სამუშაოები. | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში) | |
| | 02 05 | | 0 | |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახური | | | |
| 2022 წელს დაგეგმილი პროგრამების აღწერა | პროგრამის მიზანია სოფლის მოსახლეობის სრული ჩართულობით შერჩეული პრიორიტეტებისა და საჭიროებების შესაბამისად წარმოდგენილი ისეთი პროექტების დაფინანსება, როგორიცაა სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა, შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება, წყალგაყვანილობის სისტემების რეაბილიტაცია, სპორტული მოედნების მოწყობა და სხვა. | | | |
| პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოწესრიგებული სხვადასხვა ობიექტები | | | |
| განხორციელებული პროგრამების და შედეგების ჩამონათვალი | მესტიის მუნიციპალიტეტში 2020 წელს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაიხარჯა 1 794 000 ლარი, რაც ძირითადად მოხმარდა შიდა სასოფლო გზების კეთილმოწყობასა და რეაბილიტაციას, გარემონტდა სოფლად არსებული წყალგაყვანილობის სისტემები, აშენდა ნაპისამაგრი გაბიონები, მოეწყო სოფლების გარე განათება და შეძენილი იქნა სპორტული ინვენტარი. | | | |
| განხორციელებული პროგრამების და შედეგების ჩამონათვალი | 2021 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 9 თვეში შესრულდა 1 356 029 ლარის სამუშაოები. სოფლის მოსახლეობის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე და მათივე გადაწყვეტილებით, რამდენიმე ტერიტორიულ ერთეულში გაერთიანდა პროექტები, მესტიის მუნიციპალიტეტის თანადაფინასებითა და ევროკავშირის პროექტი „საქართველოს მოწყვლადი სასოფლო რეგიონების ეკონომიკური მხარდაჭერის" ჩართულობით- აშენდა ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნები, ა გარემონტდა კულტულის სახლი, მოეწყო სასმელი წყლის გაყვანილობა და სანიაღვრე არხი. | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | რეგიონალური განვითარების ფონდის სახსრებით განხორციელებული პროექტების თანადაფინანსება | 2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში) | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 02 06 | | 1 973,3 | |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახური | | | |
| 2022 წელს დაგეგმილი პროგრამების აღწერა | მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიე რეგიონალური განვითარების ფონდის სახსრებით განხორციელებული პროექტების თანადაფინასებისათვის განსაზღვრულია 983,00 ათ ლარი. მათ შორის 529 ათ. ლარი მოხმარდება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას, 105 ათ. ლარი, წყლისა და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობას, 120 ათ. ლარი სპორტული და კულტულური ობიექტების მშენებლობის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენახვისა და რესტავრაციის თანადაფინასებას. 200 ათ. ლარი სფლის მხარდაჭერი პროგრამებს. | | | |
| პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | განვითარებული და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა. | | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სამოქალაქო ბიუჯეტი | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში) | |
|---|---|---|---|---|
| | 02 08 | | 50,0 | |
| პროგრამის განმახორციელებელი | მესტიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახური | | | |
| 2021 წელს დაგეგმილი პროგრამების აღწერა | მოსახლეობის ჩართულობით შერჩეული საერთო დანიშნულების პროექტების შერჩევა და განხორციელება | | | |
| პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანს წარმოადგენს საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს თავად დაგეგმონ და განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები, ასევე გაუწიონ მონიტორინგი მათ რეალიზაციას. | | | |

### 3.2 დასუფთავება და კეთილმოწყობა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება  გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, განვითარება, დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობითი სამუშაოები.

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | 2020 ფაქტი | 2021 გეგმა | 2022 წ გეგმა | 2023 წელი პროგნოზი | 2024 წელი პროგნოზი | 2025 წელი პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1161.3 | 1,000.00 | 1300,0 | 1,800.00 | 2,500.00 | 2,500.00 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03 01 | აიპ "მესტიის დასუფთავება და კეთილმოწყობის სამსახური" | 1161.3 | 1,000.00 | 1300,0 | 1,800.00 | 2,500.00 | 2,500.00 |

| | | | |
|---|---|---|---|
| *პროგრამისგანაცხადისფორმა N1* | | | |
| პრიორიტეტისდასახელება, რომლისფარგლებშიცხორციელდებაპროგრამა: | მესტიის მუნიციპალიტეტის დასუფთავება და კეთილმოწყობა | 2022 წლის დ (ათას ლარში | |
| პროგრამისკლასიფიკაციისკოდი: | 03 01 | 1 300,0 | |
| პროგრამისდასახელება: | მესტიისმუნიციპალიტეტისდასუფთავებადაკეთილმოწყობა | | |
| პროგრამისგანმახორციელებელი: | ა(ა) იპმესტიისმუნიციპალიტეტისდასუფთავებისდაკეთილმოწყობისსამსახური | | |
| პროგრამისგანხორციელებისპერიოდი: | | | |
| პროგრამის მიზანიდაა ღწერა | **პროგრამისმიზანიამუნიციპალიტეტის 17 ტერიტორიულიერთეულიდანსაყოფაცხოვრებონარჩენისშეგროვებადაგადამზიდსადგურამდემიტანა. ამპერიოდისთვისმუნიციპალიტეტისმოსახლეობის 77.5 %-ს (7304 ბენეფიციალი) მიეწოდებანარჩენებისკონტეინურიშეგროვებისსისტემა, ნარჩენებისშეგროვებაზემუშაობს 5 ერთეულინაგავმზიდი, 3 დიდიზომისთვითმცლელიდადაბამესტიისჩიხებისთვისაგამოყოფილი 2 მცირეზომისნაგავმზიდი, რომლებიცასევეუზრუნველყოფენმცირეზომისკონტეინერებისდაცლას. კონტეინერებისდაცლახორციელდებაყოველდღიურადდაბამესტიასადაახლოსმდებარესოფლებში, ხოლომოშერებითმდებარესოფლებშიყოველმეორეანმესამედღეს. მუნიციპალიტეტშიგანთავსებულიკონტეინერებისრაოდენობაშეადგენს 285 ერთეულს, აქიდან: 1,1 მ 3 მოც. ურნა - 154 ერთეული, 240ლ. მოც. ურნა - 57 ერთეული, მეტალის, ოთხკუთხა, ამოსაღებისათლით (სკვერის)-40 ერთეული, ბოძზედასაკიდი, პლასტმასისურნა - 34 ერთეული. ჩვენიმიზნია,** | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **საგზაოინფრასტრუქტურისგაუმჯობესებასთანერთადმოვიცვალთმთელიმუნიციპალიტეტიდათითოეულიმოსახლისთვისგავხადოთხელმისაწვდომიჩვენიმომსახურეობა.** | | | | | | | |
| ქვეპროგრამისდასახელება | | სულ | 2020 წელიფაქტი | 2021 წელიგეგმა | 2022 წელიპროგნოზი | 2023 წელიპროგნოზი | 2024 წელიპროგნოზი | 2025 წელიპროგნოზი |
| | ქუჩებისდაგვადასუფთავება (დაბამესტია) | 100% | 90% | 90% | 95% | 100% | 100% | 100% |
| | მუნიციპალიტეტისყველატერიტორიულიერთეულისთვისხელმისაწვდომობა | 100% | 78% | 78% | 80% | 90% | 95% | 100% |
| | 1.1 მ3 კონტეინერებისრაოდენობისგაზრდა | 234.00 | 154.00 | 154.00 | 174.00 | 194.00 | 214.00 | 234.00 |
| | ნაგავმზიდებისრაოდენობისგაზრდა | 6.00 | 5.00 | 5.00 | 5.00 | 6.00 | 6.00 | 6.00 |
| | მოსაკრებლისთანხებისმობილიზება | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| **სულპროგრამა** | | | | | | | | |
| *მ.შ. კაპიტალურიპროგრამები* | | | | | | | | |
| **მოსალოდნელისაბოლოოშედეგი** | | მესტიის მუნიციპალიტეტის სრულად მოცვა,<br>სუფთა გარემო,<br>კმაყოფილიმოსახლეობა | | | | | | |

| **პროგრამისსაბოლოოშედეგისინდიკატორები**ფორმაN1-1 | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოსალოდნელი საბოლოოშედეგი**(OUTCOME)** | შედეგისინდიკატორები | | | | | | გაზომვისერთეული | გეგმიურიგადახრა | პასუხისმგებელი (საბიუჯეტოორგანიზაცია, სამსახური) | მეთოდოლოგია | რისკი |
| | დასახელება | 2021 წელი (საბაზისო) | 2022 წელი | 2023წელი | 2024 წელი | 2025 წელი | | | | | |
| შეგროვებული საყოფაცხოვრებონაგავი | | | | | | | კუბურიმეტრი | 20% | ა(ა)იპმესტიისმუნიციპალიტეტისდასუფთავებისდაკეთილმოწყობისსამსახური) | | მეწყერი, გზისჩაკეტვა, გადამზიდიავტომობილებისმწყობრიდანგამოსვლა |
| დასუფთავების მოსაკრებლისმობილიზება | | | | | | | გაფორმებულიხელშეკრულებებიდაბიუჯეტშიჩარიცხულითანხები | 50% | ა(ა)იპმესტიისმუნიციპალიტეტისდასუფთავებისდაკეთილმოწყობისსამსახური) | | პანდემია, ობიექტებისარმუშაობა |

## 3.3 განათლება

**მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | 2020 ფაქტი | 2021 გეგმა | 2022 წ გეგმა | 2023 წელი პროგნოზი | 2024 წელი პროგნოზი | 2025 წელი პროგნოზი |
| 04 00 | განათლება | 2026.00 | 1,320.00 | 1 452,0 | 1,550.00 | 1,650.00 | 1,700.00 |
| 04 01 | სკოლამდელი განათლების დაფინანსება | 1153.7 | 1,320.00 | 1 452,0 | 1,450.00 | 1,500.00 | 1,700.00 |
| 04 04 | სკოლების თანადაფინანსება | 872.3 | | | 0.00 | 0.00 | 0.00 |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | განათლება | 2022 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 04 01 | | | 1 452,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება; | |
| ქვეპროგრამის აღწერა | | მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფას და ყველა სხვა ღონისძიების გატარებას. მესტიის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითდ პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები საბავშვო ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბავშვთა მეთვალყურეობა,მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა,ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სწავლების დონის,შესაბამისი პროგრამების,სასწავლო და მეთოდური მასალების განსაზღვრა;სრულფასოვანი კვება,შენობების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა, კოვიდ რეგულეციების შესაბამისი ღონისძიებების გატარება. მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შედის 24 საბ.ბაღი.სადაც ირიცხება 165 პერსონალი და 455 აღსაზრდელი (რეალური გამოცხადება შეადგენს 300-330 ბავშვს)სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს ,ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, | |

| | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი** | მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული ქნება საქართველოს მოქმედი კანმდებლობით დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. |

### 3.4 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

სპორტის, ახალგაზრდობის და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგებს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმის, მეწარმეობის განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც მერიის კულტურის სამსახურის, ასევე კულტურის და სპორტის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | 2020 ფაქტი | 2021 გეგმა | 2022 წ გეგმა | 2023 წელი პროგნოზი | 2024 წელი პროგნოზი | 2025 წელ |
|---|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | ი პროგნოზი |
| 05 00 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 1567.3 | 1,941.50 | 2 186,0 | 2,060.00 | 2,125.00 | 2,182.02 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 599.4 | 750.00 | 850,0 | 800.00 | 800.00 | 849.51 |
| 05 01 01 | ა(ა)იპ სპორტული სკოლების გაერთიანება | 599.4 | 750.00 | 850,0 | 800.00 | 800.00 | 849.51 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 80.0 | 80.00 | 92,9 | 80.00 | 85.00 | 90.00 |
| 05 02 04 | ბიბლიოთეკების | 80.0 | 80.00 | 92,9 | 80.00 | 85.00 | 9 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაფინანსება | | | | | | 0.00 |
| 05 03 | ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება | 112.9 | 193.30 | 233,3 | 200.00 | 210.00 | 164.51 |
| 05 05 | კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი | 73.00 | 80.0 | 100,0 | 80.00 | 85.00 | 88.00 |
| 05 06 | ა.აიპ "მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი" | 672.0 | 700.0 | 760,0 | 740.00 | 780.00 | 820.00 |
| 05 07 | აიპ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან-ლანდ | 30.0 | 138.2 | 150,0 | 160.00 | 165.00 | 170.00 |

<table>
<tr><td rowspan="2">ქვეპროგრამისდასახელება</td><td>კოდი</td><td rowspan="2">სპორტული ღონისძიებები</td><td>2022 წლისდაფინანსება ათასლარში</td></tr>
<tr><td>05 01 01</td><td>850,0</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამისგანმახორციელებელისამსახური</td><td colspan="3">ა(ა)იპ სპორტული სკოლების გაერთიანება</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამისაღწერადამიზანი | **ქვეპროგრამისფარგლებშიხორციელდება:**<br>**სხვადასხვასახისსპორტულიღონისძიებებისდააქტივობებისორგანიზება,**<br>**მასშიმონაწილესპორტსმენებისადაახალგაზრდებისდაჯილდოება, წახალისება.**<br>**სხვადასხვასპორტულღონისძებებზესპორტსმენებისადამწვრთნელებისტრანსპორტირების**<br>**უზრუნველყოფა;**<br>**პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ახალგაზრდების ჩართვა შემდეგ სპორტულ სახეობებში:**ძიუდო , კრივი,ფეხბურთი, სნოუბორდი, მკლავჭიდი, შახმატი ,სათხილამურო სპორტი, მეკლდეურობა .<br><br>მიმდინარე წელს ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:<br>ძიუდო - 6 ღონისძიება, საიდანაც გამოვლინდა 20 პრიზიორი. მათ შორის: 4- პირველადგილოსანი,6- მეორე ადგილოსანი და 10 მესამე ადგილოსანი.<br>კრივი -3 ღონისძიება, საიდანაც გამოვლინდა საქართველოს პირველობის 5 პრიზიორი სპორცმენი.<br>მეკლდეურობა -3 ღონისძიება, საიდანაც გამოვლინდა 21 პრიზიორი. მათ შორის:8- პირველადგილოსანი, 7-მეორე ადგილოსანი და 6 მესამე ადგილოსანი.<br>მონაწილეობა მივიღეთ გასვლითი 10 დღიან სასწავლო საწვრთნელო შეკრებებში ძიუდოს სახეობაში, სადაც მონაწილეობას იღებდა 23 სპორცმენი<br>მიზანიცდაშედეგიცარისახალგაზრდებისჩართულობასპორტისსხვადასხვასახეობებშიდაჯანსაღიცხოვრებისწესისდამკვიდრებისხელშეწყობა<br><br>**პროგრამებისმიზანია:**<br>**მუნიციპალიტეტისმასშტაბითჩატარებულიმეტისხვადასხვასპორტულიღონისძიებადამასშიჩართულიახალგაზრდებისრაოდენობისზრდა.** |
| მოსალოდნელიშედეგი | **- ჯანსაღიცხოვრებისწესისპოპულარიზაცია;**<br>**- მოზარდებისჩართვამასობრივისპორტისსახეობებში.**<br>**მუნიციპალიტეტისსაჯაროსკოლებისმოსწავლეთაჩართულობასპორტულღონისძიებებში.**<br>**-გამოვლენილიახალგაზრდები, რომელთაცაღმოაჩნდათგანსაკუთრებულინიჭიდაშესაძლებლობები.** |
| შეფასების ინდიკატორი | საპრიზო ადგილის მფლობელი სპორცმენების რაოდენობა.<br><br>სპორტში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამისდასახელება | კოდი | ბიბლიოთეკების გაერთიანება | 2022წლისდაფინანსება ათასლარში |
| | 05 0204 | | 92,9 |
| ქვეპროგრამისგანმახორციელებელისამსახური | ა.აიპ “ ბიბლიოთეკების დაფინანსება“ | | |
| ქვეპროგრამისაღწერადამიზანი | ქვეპროგრამისფარგლებშიფინანსდებამესტიის მუნიციპალიტეტისტერიტორიაზე15 ბიბლიოთეკა.<br><br>მუნიციპალიტეტის 15 ბიბლიოთეკაშიწიგნისფონდიშეადგენს 76 500 ერთეულს.ბიბლიოთეკებისმომსახურებითსარგებლობსმუნიციპალიტეტისდაახლობით 3000 მოსახლე. ქვეპროგრამის მიზანია -საბიბლიოთეკოფონდებისშეგროვება, აღრიცხვა–დამუშავებადასაკატალოგომეურნეობისწარმოებასაბიბლიოთეკოწესებისშესაბამისად, მათიდაცვისუზრუნველყოფა;<br><br>ქვეპროგრამის მიზანია ასევე ჩატარდესლიტერატურულისაღამოები, შემეცნებითიდისკუსიები,<br><br>მთავარი მიზანია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა. საბიბლიოთეკო ფონდის ზრდა, რომ დავაინტერსოთ მკითხველი და ავამაღლოთ ცნობიერების დონე. | | |
| მოსალოდნელიშედეგი | -მოსახლეობის ზრდა და ჩართულობა ცნობიერების ასამაღლებლად<br><br>- სხვადასხვა პროექტებში მოზარდების ჩართულობა. | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *პროგრამისგანაცხადისფორმა N1* | | | | | | | | |
| პრიორიტეტისდასახელება, რომლისფარგლებშიცხორციელდებაპროგრამა: | | 2022წლისდაფინანსება ათასლარში | | | | | | |
| პროგრამისკლასიფიკაციისკოდი: **0503** | | ახალგაზრდული მპროგრამების დაფინანსება | | | | | | **233.3** |
| პროგრამისდასახელება: | | | | | | | | |
| პროგრამისგანმახორციელებელი: | | მესტიისმუნიციპალიტეტისმერია | | | | | | |
| პროგრამისგანხორციელებისპერიოდი: **I-II-III-IV** კვარტალი | | | | | | | | |
| პროგრამისმიზანიდააღწერა | პროგრამისმიზანიაკანონმდებლობითმინიჭებულფარგლებშიმესტიისმუნიციპალიტეტისტერიტორიაზეკულტურის, განათლების, ძეგლთადაცვის, სპორტისადაახალგაზრდულსაქმეთასფეროშიერთიანიმუნიციპალურიპროგრამებისშემუშავება, დაგეგმვადამათირეალიზაციისკოორდინაცია | | | | | | | |
| ქვეპროგრამისდასახელება | | სულ | 2020 წელიფაქტი | 2021 წელიგეგმა | 2022 წელიპროგნოზი | 2023 წელიპროგნოზი | 2024 წელიპროგნოზი | 2025 წელიპროგნოზი |
| 1 | პირველკურსელთათანადაფინანსება | | | 0 | 0 | | | |
| 2 | არქეოლოგიურიექსპედიცია | | | | | | | |
| 3 | ეტალონი | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | ,,ეტალონი- განათლება“ - ,,აქცია **2020-** წარსული ,აწმყო, მომავალი-საქართველოსგამორჩეული მუნიციპალიტეტებიდაქალაქები“ | | | | | | | | |
| 5 | ,,სიცოცხლისფესტივალი“ ბერიანდრიასფონდი | | | | | | | | |
| 6 | სასკოლოსპორტულიოლიმპიადა | | | | | | | | |
| 7 | ახალგაზრდულბანაკებშია ხალგაზრდებისტრანსპორტირება | | | | | | | | |
| 8 | ახალგაზრდულიპროგრამებისხელშეწყობა | | | | | | | | |
| 9 | სასკოლოსაგანმანათლებლოპროექტებისთანადაფინანსება | | | | | | | | |
| 10 | ბეჭდვადამასთანდაკავშირებულიმომსახურეობები | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| სულპროგრამა | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| *მ.შ. კაპიტალურიპროგრამები* | | | | | | | | | |

| **მოსალოდნელისაბოლოოშედეგი** | გასულწელთანშედარებითმიმდინარეწელსდაფინანსდაუფრომეტისტუდენტი. ასევესაგანმანათლებლოპროექტ ,,ეტალონი"-შიუფრომეტისკოლისმოსწავლეიყოჩართული. არქეოლოგიურიექსპედიციისმიერგანხორციელებულისამუშაოებისშედეგადგამოვლენილიამნიშვნელოვანიარქეოლოგიურიძეგლებირომლებიცინახებასვანეთისისტორიისადაეთნოგრაფიისმუზეუმში. სამომავლოდკვლევისმიზანია, შეიქმნასისტორიულისვანეთისარქეოლოგიურძეგლთანუსხათავისირუქით. |
|---|---|

| პროგრამისდასახელე | კოდი | | **2022წლისდაფინანსება ათასლარში** | **2023წლისდაფინანსებაათასლარში** |
|---|---|---|---|---|
| | **05 05** | **კულტურა მემკვიდრეობის დაცვა** | **100,0** | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამისგანმახორც. სამსახური | **კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი** |
| ქვეპროგრამისაღწერადამიზანი | მემკვიდრეობითი ძეგლების აღრიცხვა,რესტავრაცია და შენარჩუნება, |
| მოსალოდნელიშედეგი | -მემკვიდრეობითი ძეგლების დაცვა და შენარჩუნება |

| ქვეპროგრამისდასახელება | კოდი | **კულტურის ღონისძიებები** | **2022წლისდაფინანსება ათასლარში** |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| | 05 06 | | 760,0 |
| ქვეპროგრამისგანმახორციელებელისამსახური | ა.აიპ "მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი" | | |
| ქვეპროგრამისაღწერადამიზანი | მესტიის მუნიციაპლური კულტურის ცენტრში გაერთიანებულია მუნიციაპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი შვიდი კულტურის სახლი, საბავშო სტუდია.<br><br>ორგანიზაციაში ფუნქციონირებს სახელოვნებო სკოლასადაც მოზარდებს შეუძლიათ დაეუფლონ სხვადასხვა სახელოვნებო სპეციალობას(გობელინიხატვა და ა.შ)'<br><br>აღნიშნულ ანსაბლებსა და წრებში მონაწილეობს დაახლოებით 60 ბავშვი.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარუზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება,თეატრალური სფეროსადმი მოსახლეობის დაინტერესებისა და ჩართულობის ზრდა.<br><br>როგრამის მიზანია მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრში თეატრალური მიმართულების დანერგვა, ახალგაზრდობის ჩართულობა და ადგილობრივ მოსახლებაში აღნიშნული მიმართულებით ცნობიერების ამაღლება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება პერფორმანსი ორმაგი პროექციით, კინოს ელემენტებით, ქვიშის მხატვრობით და ცოცხალი გახმოვანებით გადმოგვცემს ვაჟა ფშაველას ნაწარმოების ,,სტუმარ-მასპინძელი" შინაარსს. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: 1.რუბრიკა ,,სვანური ენის ქრესტომათია. 2. 3 მარტი ,,დედის დღე". 3. პერფორმანსი "სტუმარ-მასპინძელი". 4.სპექტაკლი ,,ბეთქილ" 5. სპექტაკლი ,,უშბა და თეთნულდი" 6. 26 მაისი საქართველოს დამუკიდებლობის დღე. 7. ანსამბლ ,,რიჰო"-ს კონცერტები მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრში. 8. კინოჩვენებები. 9. მესტიის მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების საერთაშორისო ფესტივალი. 10. ,,სვანეთობა 2022" 11 ,,ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე" | | |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელიშედეგი | - მოზარდების  მაქსიმალურიჩართვაკულტურულ ღონისძიებებში<br><br>- ღონისძიებებისა და კონცერტების გამართვა<br><br>-მოზარდების შესაძლებლობა დაეუფლონ სხვადასხვა სახელოვნებო დარგებს. |

| პროგრამისდასახელე | კოდი | | 2022წლისდაფინანსება ათასლარში |
|---|---|---|---|
| | 05 07 | ტურიზმის ხელშეწყობა | 150,0 |
| ქვეპროგრამისგანმახორც. სამსახური | აიპ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან-ლანდ | | |
| ქვეპროგრამისაღწერადამიზანი | აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს ტურიზმის ხელშეწყობას და სვანეთის პოპულიზაციას მსოფლიო ბაზარზე. | | |
| მოსალოდნელიშედეგი | ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | | |

### 3.5 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური  უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის  ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის  დახმარებას და სხვადასხვა  შეღავათებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | 2020 ფაქტი | 2021 გეგმა | 2022 წ გეგმა | 2023 წელი პროგნოზი | 2024 წელი პროგნოზი | 2025 წელი პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 715.00 | 627.0 | 831,3 | 852.00 | 888.00 | 926.00 |
| 06 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 65.8 | 65.0 | 77,3 | 65.00 | 65.00 | 65.00 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06 02 01 | ბავშთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 42.3 | 26.0 | 40,0 | 35.00 | 38.00 | 45.00 |
| 06 02 02 | მძიმე კატეგორიის ავადმყოფების სოციალური დაცვა | 228.4 | 174.0 | 250,0 | 275.00 | 285.00 | 290.00 |
| 06 02 03 | ვეტერანთა (ხანდაზმულთა) სოციალური დაცვა | 8.3 | 10.0 | 10,0 | 12.00 | 15.00 | 18.00 |
| 06 03 | მესტიის მუნიციპალიტეტის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 189.7 | 187.0 | 190,0 | 200.00 | 205.00 | 208.00 |
| 06 04 | სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება | 108.3 | 55.0 | 124,0 | 130.00 | 135.00 | 140.00 |
| 06 05 | შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება | 72.2 | 80.0 | 80.0 | 80.00 | 85.00 | 90.00 |
| 06 06 | უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა | 0 | 30.0 | 50.0 | 55.00 | 60.00 | 70.00 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06 07 | ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა | 0 | 0 | 10.0 | 15.00 | 19.00 | 22.00 |
| | | | | | | | |

<table>
<tr><td>კოდი</td><td rowspan="2">პროგრამის დასახელება</td><td rowspan="2">ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამა</td><td>2022 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში</td></tr>
<tr><td>0601</td><td>77,3</td></tr>
<tr><td colspan="2">პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</td><td colspan="2">ა.აიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება“</td></tr>
<tr><td colspan="2">პროგრამის აღწერა</td><td colspan="2">სამოქმედო ტერიტორიაზე მოსახლეობის  ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოპერატიული ფუნქციების განხორციელების გზით;</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებების გატარება; პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები. გადამდებ დაავადებათა გამოვლენა, ადეკვატური რეაგირება და პირველადი პრევენციული ღონისძიებების გატარებისათვის მზად ყოფნა. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა,<br>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააღმზრდელო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა; პროგრამის მიზანია ინფექციების აღმოცენებისა და გავრცელების შეზღუდვა ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას. სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა. მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და დაავადებათა პრევენციის გზით შემცირება; |

სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებისა და სოციალური დახმარებების გაცემას. მზრუნველობამოკლებულთა უზრუნველყოფას უფასო კვებითა და თავშესაფრით, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ასევე ხორციელდება შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრის დაფინანსება, უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა, სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება.

| |
|---|
| *პროგრამის განაცხადის ფორმა N1* |

| | |
|---|---|
| პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: | სოციალური და ჯანდაცვა |
| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: პროგრამული კოდი- 06 02 01 | ათასლარში<br>40,0 |
| პროგრამის დასახელება: | ბავშვთა და შშმ. პირთა სოციალური დაცვა |
| პროგრამის განმახორციელებელი: | მესტიის მუნიციპალიტეტის მერია სოცალური დაცვის სამსახური |
| პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2022 წ. | |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | ბავშვთა და შშმ. პირთა სოციალური დაცვა , რომელშიც შედის - ახალშობილების , მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე<br>მრავალშვილიანი და მარჩენალდაკარგული ოჯახების (რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის შვილები) , ერთჯერადი (ფულადი) დახმარების პროგ<br>მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები და რეგისტრირებული ახალშობილებისთვის საჩუქრის სახით, ერთჯერადი ფულადი<br>მუნიციპალიტეტში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების<br>ბავშვებისთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ერთჯერადი ფულადი დახმარება, მარჩენალდაკარგული და მრავალშვილი<br>და ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, მათთვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების და წახალისების მიზნით ერთჯერადი მატერიალურ |

| ქვეპროგრამის დასახელება | | სულ | 2020 წელი ფაქტი | 2021 წელი გეგმა | 2022 წელი პროგნოზი | 2023 წელი პროგნოზი | 2024 წელი პროგნოზი | 2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მარჩენალდაკარგული ოჯახები რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილი (შვილები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა | | 13.00 | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | შეზღუდულიშესაძლებლობებისმქონეპირები და ბავშვები (18 წლამდე) ერთჯერადიმატერიალლურიდახმარების პროგრამა | | 3.00 | | | | | |
| 3 | ახალშობილების ერთჯერადი მატერიალლური დახმარების პროგრამა | | 138.00 | | | | | |
| 4 | მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი მატერიალლური დახმარების პროგრამა | | 10.00 | | | | | |
| 5 | | | | | | | | |
| სულ პროგრამა | | | | | | | | |
| *მ.შ. კაპიტალური პროგრამები* | | | | | | | | |
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | | პროგრამის განხორციელების შედეგად, გარკვეულწილად გაუმჯობესდება ახალშობილის ოჯახის,მ<br>შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და ბავშვების მარჩენალდაკარგული და მრავალშვი<br>სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე დაეხმარება მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირე<br>მოგვარებაში. | | | | | | |

| | |
|---|---|
| *პროგრამის განაცხადის ფორმა N1* | |
| პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: | |
| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: პროგრამის კოდი 06 02 02 | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში<br>250,0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | | სოც. დაუცველი მძიმე კატეგორიის ავადმყოფების სოციალური დაცვა | | | | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | | მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, სოციალური დაცვის სამსახური | | | | | | |
| პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2022 წელი | | | | | | | | |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | მძიმე კატეგორიის ავადმყოფების სოციალური დაცვა - რომელშიც შედის : სოციალურად დაუცველის ან იძულებით გადაადგილებული პირის -დევნილის სტატუსის მქონე მძიმე ავადმყოფების (მათ შორის შშმ. პირი/მარტოხელა სოც. დაუცველი ხანდაზმული ავადმყოფი) დიაგნოსტიკის, მკურნალობის, ან სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნით სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ პაციენტისათვის ჩასატარებელი სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტების თანადაფინანსება / დახმარება .პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან იძულებით გადაადგილებული პირის -(დევნილი), მძიმე ავადმყოფის, მარტოხელა სოც. დაუცველი ხანდაზმულების , დაბალშემოსავლიანი ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე გარკვეულწილად დაეხმარება მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში, მედიკამენტების შეძენასა და შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიღებაში. | | | | | | | |
| ქვეპროგრამის დასახელება | | სულ | 2020 წელი ფაქტი | 2021 წელი გეგმა | 2022 წელი პროგნოზი | 2023 წელი პროგნოზი | 2024 წელი პროგნოზი | 2025 წელი პროგნოზი |
| | სოც. დაუცველი მძიმე კატეგორიის ავადმყოფების სოციალური დაცვა | | **222 998** | | | | | |
| სულ პროგრამა | | | | | | | | |
| *მ.შ. კაპიტალური პროგრამები* | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან იძულებით გადაადგილებული პირის -(დევნილი), მძიმე ავადმყოფის, მარტოხელა სოც. დაუცველი ხანდაზმულების , დაბალშემოსავლიანი ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე გარკვეულწილად დაეხმარება მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში, მედიკამენტების შეძენასა და შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიღებაში. |

| | | |
|---|---|---|
| *პროგრამის განაცხადის ფორმა N1* | | |
| პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: | სოციალური და ჯანდაცვა | |
| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 02 03 | | ათასლარ ში<br>10,0 |
| პროგრამის დასახელება: | ვეტერანთა და ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, სოციალური დაცვის სამსახური | |
| პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2022 წელი | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი და აღწერა | ვეტერანთა და ხანდაზმულთა სოციალური დაცვა<br>რომელშიც შედის:<br>1. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა, ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა.<br>2. ომის მონაწილე და ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირების, ხანდაზმულთა<br>3. (90 და მეტი წლის უხუცესები) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამა.<br>4. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერნების, „ვეტერანების დღის“ (17 ოქტომბერი) აღსანიშნავად – საჩუქრის სახით, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამა.აღნიშნული პროგრამის მიზანია სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურება.<br>საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერნების, „ვეტერანების დღის“ (17 ოქტომბერი) აღსანიშნავად – საჩუქრის სახით, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების გაწევა. ომის მონაწილე და ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ ვეტერანებზე და მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები 90 წელს გადაცილებული მოქალაქეებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა. |

| ქვეპროგრამის დასახელება | | სულ | 2020 წელი ფაქტი | 2021 წელი გეგმა | 2022 წელი პროგნოზი | 2023 წელი პროგნოზი | 2024 წელი პროგნოზი | 2025 წელი პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა, ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა. | | **2** | | | | | |
| 2 | ომის მონაწილე და ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირების, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამა | | **24** | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | ხანდაზმულთა (90 დამეტიწლისუხუცესები) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. | | 26.00 | | | | | |
| 4 | საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერნების, „ვეტერანების დღის“ (17 ოქტომბერი) აღსანიშნავად – საჩუქრის სახით, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. | | 6.00 | | | | | |
| | | | | | | | | |
| სულ პროგრამა | | | | | | | | |
| *მ.შ. კაპიტალური პროგრამები* | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | გაუმჯობესდება ომის მონაწილე ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირების, გარდაცვლილ დევნილთა და ვეტერანთა ოჯახების, ხანდაზმულების (90 წლის და 90 წელს გადაცილებული), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერნების, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე გარკვეულწილად დაეხმარება მათ ჯამრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში. |

*პროგრამის განაცხადის ფორმა N1*

| | |
|---|---|
| პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: | სოციალური და ჯანდაცვა |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: პროგრამის კოდი 06 03 | | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში<br>190,0 |
| პროგრამის დასახელება: | მესტიის რაიონის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, სოციალური დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2022 წელი | | | |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახებისა და ბავშვების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა, რომელშიც შედის შემდეგი კატეგორიები: ონკოლოგიური, დიალიზით მოსარგებლე, ფსიქიურად და ცერებრალური დამბლით დაავადებული პირები და მოსახლეობის, მათ შორის სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფი ან ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე ავადმყოფთა ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება, სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა გეგმიური ენდოსკოპიური გამოკვლევის დაფინანსება, მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ C ჰეპატიტით დაავადებულთა გამოკვლევის დაფინანსება, მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ 0 დან 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი ბავშვების ფარისებრი ჯირკვლის (პათოლოგიათა ადრეული გამოვლენის მიზნით) გამოლკვლევების თანადაფინანსება და ასევე სხვადასხვა სახის გონებრივი და ფიზიკური განვითრების შეფერხების მქონე ბავშვთა სადიაგნოსტიკო/თერაპიული მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება.ონკოლოგიური, დიალიზით მოსარგებლე, ფსიქიურად და ცერებრალური დამბლით დაავადებული ავადმყოფებისთვის ტრანსპორტირებისა და მკურნალობის ხარჯების დასაფარად. დიალიზის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურეობა ფინანსდება სრულად და პაციენტის მხრიდან თანადაფინანსებას არ ითვალისწინებს, პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად მსურველმა სოციალური მომსახურების სააგენტოში უნდა წარადგინოს გეგმიური მომსახურების დოკუმენტების ნუსხა, რის შემდეგაც ხდება პაციენტის რეგისტრაცია დიალიზის მომლოდინეთა ცენტრში. ეს ყველაფერი დაკავშირებულია დროსთან და ტრანსპორტირების ხარჯებთან, პაციენტს კი მუდმივად ესაჭიროება აღნიშნული მომსახურეობის მიღება. ასეთივე პრობლემას აწყდება ონკოლოგიური და ფსიქიურად დაავადებული პირები. მიუხედავად იმისა, რომ მათი სამედიცინო მომსახურეობა ფინანსდება სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტის საავადმყოფოში შესაბამისი აპარატურისა და სპეციალისტების არარსებობის გამო პაციენტებს უწევთ ქ. თბილისში გამგზავრება, რაც ხარჯებთან არის დაკავშირებული ამ ყველაფრის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული კატეგორიის ავადმყოფებისთვის დახმარების გაწევა (ტრანსპორტირების ხარჯების დასაფარად) აგრეთვე ცერებრალური დამბლით დაავადებულ პირებს გარკვეულწილად . სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ (სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე) ავადმყოფთა გეგმიური ენდოსკოპიური გამოკვლევის დაფინანსება 100% -ის ოდენობით (საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არ აფინანსებს გეგმიურ ენდოსკოპიურ გამოკვლევას). მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ C ჰეპატიტით დაავადებულთა გამოკვლევის დაფინანსება 70% -ის ოდენობით. C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პაციენტთა მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 70%-ს, „სოციალურად | | |

დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს, თანაგადახდა შეადგენს 30%-ს. მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ 0 დან 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიათა ადრეული გამოვლენის მიზნით გამოლკვლევების თანადაფინანსება, რომელშიც შედის ფარისებრი ჯირკვლის სადიაგნოზო ჰორმონული კვლევებიდან - თირეოტროპული ჰორმონის (TSH), პერიფერიული თავისუფალი თიროქსინის (FT4) და ანტი TPO გამოკვლევა). გამოკვლევების თანადაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, ამ დაწესებულების (საავადმყოფო) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ - ფაქტურების შესაბამისად. თანადაფინანსება განხორციელდება თანხით, რომლის დაფინანსებაც არ ხდება სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში.ქირურგიული ოპერაცია- ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის (ინვოისი) მიხედვით პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50 %, სოციალურად დაუცველის ან ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე პირების შემთხვევაში პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 70%, არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, წლიური ლიმიტის ფარგლებში, რასაც სახელმწიფო პროგრამა არ აფინანსებს. ასევე მნიშვნელოვანია ადრეული დიაგნოსტიკისა და მხარდაჭერის მიზნით, სხვადსხვა სახის გონებრივი და ფიზიკური განვითრების შეფერხების მქონე ბავშვთა დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა რომელიც ითვალიწინებს, მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 2 -დან 15 წლამდე ასაკის აუტიზმის (ასა) სპექტრის და განვითრების სხვა დარღვევების მქონე ბავშვთა თერაპიის , სხავადსხა სახის გონებრივი და ფიზიკური შეფერხების მქონე ბავშვთა თერაპიის და განვითარების სხვადასხვა დარღვევების მქონე ბავშვთა დიაგნოსტიკის, რომელიც მოიცავს ბავშვის მოტორული, შემეცნებითი, სოციალური განვითრების, თვითმოვლის და დამოუკიდებლად ფუნქციონირების დონის შეფასებას და ინდივიდუალური განვითარების შესაბამისად მოსარგებლისთვის სეანსის მიწოდებას, შესაბამისი სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქცევითი თერაპევტი, ლოგოპედი, სპეც. პედაგოგი და სხვა) დაფინანსება/თანადაფინასებას, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის შესაბამისად ბენეფიციარის გადასახდელი თანხიდან 50%-იანი, ხოლო სოციალურად დაუცველი ბენეფიციარის შემთხვევაში 80%-იანი დაფინანსება/თანადაფინანსებით 1000 (ათასი) ლარიანი ლიმიტის ფარგლებში.

| | ქვეპროგრამის დასახელება | სულ | 2020 წელი ფაქტი | 2021 წელი გეგმა | 2022 წელი პროგნოზი | 2023 წელი პროგნოზი | 2024 წელი პროგნოზი | 2025 წელი პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ონკოლოგიურ ავადმყოფებს და ფსიქიურად დაავადებულ პირების ერთჯერადი ფულადი დახმარების ქვეპროგრამა | | **145** | 137.00 | 150.00 | | | |
| 2 | ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება/დაფინანსების ქვეპროგრამა | | **0** | 0.00 | 100.00 | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | დიალიზით მოსარგებლე და ცერებრალური დამბლით დაავადებულ პირების ერთჯერადი ფულადი დახმარების ქვეპროგრამა | | 21.00 | 14.00 | 21.00 | | | |
| 4 | მოსახლეობის, მათ შორის სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფი ან ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე ავადმყოფთა ქირურგიული ოპერაციის თანადაფინანსების ქვეპროგრამა | | 132.00 | 96.00 | 140.00 | | | |
| 5 | სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა გეგმიური ენდოსკოპიური გამოკვლევის დაფინანსების ქვეპროგრამა | | 0.00 | 0.00 | 5.00 | | | |
| 6 | მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ C ჰეპატიტით დაავადებულთა გამოკვლევის დაფინანსების ქვეპროგრამა | | 3.00 | 0.00 | 5.00 | | | |
| 7 | მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ 0 დან 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიათა ადრეული გამოვლენის მიზნით გამოკვლევების თანადაფინანსების ქვეპროგრამა | | 0.00 | 0.00 | 5.00 | | | |
| 8 | სხვადსხვა სახის გონებრივი და ფიზიკური შეფერხების მქონე ბავშვთა დაფინანსების ქვეპროგრამა | | 4.00 | 5.00 | 6.00 | | | |
| | | | | | | | | |
| სულ პროგრამა | | | | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *მ.შ. კაპიტალური პროგრამები* | | | | | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| *პროგრამის განაცხადის ფორმა N1* | | | |
| პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: | სოციალური და ჯანდაცვა | | |
| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 04 | | | ათასლარში<br>124,0 |
| პროგრამის დასახელება: | სტიქიით (მათ შორის ხანძრით) დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა. | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, სოციალური დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2022 წელი | | | |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | აღნიშნული პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტიქიით, მათ შორის ხანძრით დაზარალებული ოჯახების დახმარების გაწევა მათთვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | | სულ | 2020 წელი ფაქტი | 2021 წელი გეგმა | 2022 წელი პროგნოზი | 2023 წელი პროგნოზი | 2024 წელი პროგნოზი | 2025 წელი პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა | | 6 | | | | | |
| 2 | სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა | | 40.00 | | | | | |
| | | | | | | | | |
| სულ პროგრამა | | | | | | | | |
| *მ.შ. კაპიტალური პროგრამები* | | | | | | | | |
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | სტიქიით, მათ შორის ხანძრით დაზარალებული ოჯახებისთვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ერთჯერადი (ფულადი) დახმარების გაწევა დაზარალებული ოჯახების პირველადი მოხმარების საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენის მიზნით. | | | | | | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება | 2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში) | |
|---|---|---|---|---|
| | 06 05 | | 80,0 | |
| პროგრამის განმახორციელებელი | | | | |

| | |
|---|---|
| 2021 წელს დაგეგმილი პროგრამების აღწერა | „კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი“ ემსახურება მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, 18 წლამდე და 18 წელს ზემოთ მყოფ, შეზღუდული შესაძლებლობის და/ან განვითარების შეფერხების მქონე ბენეფიციარებს, მათი ასაკისა და შესაბამისი დიაგნოზის სპეციფიურობის გათვალისწინებით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვით.<br>სარეაბილიტაციო ცენტრში ფუნქციონირებს დღის ცენტრის, აბილიტაცია/რეაბილიტაციის, შინ მოვლისა და ადრეული განვითარების  პროგრამები.<br>პროგრამების დეტალური აღწერა:<br>დღის ცენტრი -  არსებული სერვისი განკუთვნილია დაბა მესტიაში და სოფ: ლენჯერში, ლატალში და მულახში მცოხვრები, 6-დან 18 წლამდე ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარებისთვის. დღის ცენტრის მომსახურება ბენეფიციარებს მიეწოდებათ ყოველდღე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა, მინიმუმ 3 საათის განმავლობაში და გულისხმობს როგორც ბენეფიციართა ტრანსპორტირებას და ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფას,  ასევე მათი ფსიქიკური, შემეცნებითი, ემოციური, ფიზიკური საჭიროებების გამოვლენას და აკადემიური, ადაპტური, სოციალურ-კომუნიკაციურ უნარების განვითარებაზე ზრუნვას. დამატებით დღის ცენტრი უზრუნველყოფს ფსიქოლოგის, ხელოვნების თერაპიის, მეტყველების თერაპიის, სენსორული ინტეგრაციის სერვისების,  რიტმული შეზელვისა და სამკურნალო ვარჯიშების ხელმისაწვდომობას.<br>ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის სერვისი გულისხმობს სამიზნე ჯგუფის ბავშვთა სპეციფიკურ რეაბილიტაციას, აბილიტაციას, ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერებასა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას, საცხოვრებლის უზრუნველყოფით (სარეაბილიტაციო კურსის გავლის პერიოდში, 10 დღის მანძილზე).<br>ზრდასრულების (18 წელს და ზემოთ მყოფი პირები) რეაბილიტაციის სერვისი გულისხმობს ფიზიოთერაპევტისა და ფსიქოლოგის მომსახურების შეთავაზებას. არსებული სერვისი, ასევე დამატებით მოიცავს ტრანსპორტირებას (სახლიდან ცენტრამდე და პირიქით) და კვებას, საცხოვრებლის უზრუნველყოფით (სარეაბილიტაციო კურსის გავლის პერიოდში, 10 დღის მანძილზე).<br>შინ მოვლის სერვისი, რომელიც გულისხმობს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციის  მიზნით, მისი ძირითადი მომვლელის/მზრუნველის საექთნო და პაციენტის მოვლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარებაზე ზრუნვას, კონსულტაციების გზით.<br>ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სერვისი გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირებას, კოგნიტური, მოტორული, კომუნიკაციური და ემოციური განვითარების ხელშეწყობას, სკოლამდელ ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვასა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერებასა და მიტოვების პრევენციას.<br>ასევე,  მათი მშობლების განათლებასა და გაძლიერებას ბავშვის აღზრდა-განვითარების სფეროში. |

| | |
|---|---|
| პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანი:<br>პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული გონებრივი ან/და ფიზიკური შეფერხების ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის ხელშეწყობა. მშობლების ცნობიერების ამაღლება. ასევე ზრდასრულთა დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების შენარჩუნების პარალელურად, პიროვნული ჰარმონიზაციისა და ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფა. პროფესიულ, საგანმანათლებლო და ინკლუზიურ-პროფესიული განათლების ხვედრითი წილის გაზრდა და ხელშეწყობა. დასაქმება. ადრეული განვითარების პროგრამის მიზანია განვითარებას ჩამორჩენილ ბავშვებში დროულად მოხდეს სპეციალისტთა ჩარევა.<br><br>მოსალოდნელი შედეგი:<br>პროგრამის განხორციელების შედეგად გაიზრდება ბენეფიციარების გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები, გამოიმუშავებენ შესაბამის უნარებს ზრდასრულ ასაკში თვითრეალიზაციის მიზნით. ზრდასრულები გამოიმუშავებენ უნარ-ჩვევებს შემდგომში დასაქმების მიზნით. |

| *პროგრამის განაცხადის ფორმა N1* | | | |
|---|---|---|---|
| პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: | სოციალური და ჯანდაცვა | | |
| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: პროგრამის კოდი 06 06 | | | ათასლარში<br><br>50,0 |
| პროგრამის დასახელება: | მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, სოციალური დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2022 წელი | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროგრამის მიზანი და აღწერა | აღნიშნული პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახის დახმარება და სათანადო საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა .უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში შესაბამისი კომსია შეისწავლის მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თითოეული უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახის შემადგენლობას, სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობას, უსახლკარობის გამომწვევ მიზეზებსა და გარემოებებს. პირველ ეტაპზე გათვალისწინებული იქნება და უპირატესობა მიენიჭება უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით - სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახი, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და მათი ოჯახის წევრებს, ვეტერანებს, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებს, მათ არასრულწლოვან შვილ(ებ)ს, მრავალშვილიან ოჯახებს და ა.შ.<br>წარმოდგენილი დოკუმენტაციისა მიხედვით კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში , მესტიის მუნიციპალიტეტის მერია მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე აუშენებს კოტეჯის ტიპის საცხოვრებელ სახლს. საცხოვრებელი სახლის ფართობი განისაზღვრება სულადობის მიხედვით. | | | | | | | |
| ქვეპროგრამის დასახელება | | სულ | 2020 წელი ფაქტი | 2021 წელი გეგმა | 2022 წელი პროგნოზი | 2023 წელი პროგნოზი | 2024 წელი პროგნოზი | 2025 წელი პროგნოზი |
| | | | 0 | 1.00 | | | | |
| სულ პროგრამა | | | | | | | | |
| *მ.შ. კაპიტალური პროგრამები* | | | | | | | | |
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | | პროგრამის ფარგლებში უსახლკაროდ დარჩენილი პირები (ოჯახები), უზრუნველყოფილი იქნებიან სათანადო საცხოვრისით, რის შედეგადაც გაუმჯობესდება მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. | | | | | | |

| *პროგრამის განაცხადის ფორმა N1* | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: | | | | სოციალური და ჯანდაცვა | | | |
| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: პროგრამის კოდი 06 07 | | | | | | | ათასლარში<br>10,0 |
| პროგრამის დასახელება: | ზავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა | | | | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური, სოციალური , ჯანმრთელობის , ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება. | | | | | | |
| პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2022 წელი | | | | | | | |
| პროგრამის მიზანი და აღწერა | პროგრამა ეხება: კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სასკოლო ასაკის მქონე ბავშვების , მათ შორის შშმ ბავშვების, საკანცელარო ნივთების შესაძენად ერთჯერადი დახმარების გაწევას და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის ექვს წლამდე ასაკის მქონე ბავშვების , მათ შორის შშმ ბავშვების ხელოვნური (სპეციალური) კვების პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსებას. აღნიშნული პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარებისა და ხელშეწყობის უზრუნველსაყოფა, მათთვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების და წახალისების მიზნით მატერიალური დაფინანსების გაწევა. | | | | | | |
| ქვეპროგრამის დასახელება | სულ | 2020 წელი ფაქტი | 2021 წელი გეგმა | 2022 წელი პროგნოზი | 2023 წელი პროგნოზი | 2024 წელი პროგნოზი | 2025 წელი პროგნოზი |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სასკოლო ასაკის მქონე ბავშვებზე მათ შორის შშმ ბავშვებზე, საკანცელარო ნივთების შესაძენად ერთჯერადი დახმარების | | 0 | 10.00 | | | | |
| 2 | კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის ექვს წლამდე ასაკის მქონე ბავშვების მათ შორის შშმ ბავშვების ხელოვნური (სპეციალური) კვების პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსება | | 0.00 | 10.00 | | | | |
| სულ პროგრამა | | | | | | | | |
| *მ.შ. კაპიტალური პროგრამები* | | | | | | | | |
| მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | | პროგრამის განხორციელების შედეგად გარკვეუ წილად გაუმჯობესდება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური ფონი, გაუმჯობესდება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი, ასევე ხელი შეეწყობა უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის ფენის შემცირებას, გაუმჯობესდება დემოგრაფიული მდგომარეობა. | | | | | | |

## 3.6 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა ფაქტორებს.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა ,საგანნგებო ბიუჯეტი, სარეზრვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულბებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.

| კოდი | წარმომადგენლობითი და ღმასრულებელი ხელისუფლება | 2025 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|---|---|---|
| 01 00 | | 5 816,6 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსება | |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს გამართულ ფუნქციონირებას, მუნიციპალიტეტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, მუნიციპალური ვალდებულებების მომსახურებას, საბიუჯეტო პროცესის განვიტარებას. | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მერიის მიერ მოსახლეობისათვის გაწეული სერვისების გაუმჯობესება, მომსახურების მიღების გამარტივება. საბიუჯეტო პროცესის დახვეწა. ვალდებულებების მომსახურება. | |

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | 2020 ფაქტი | 2021 გეგმა | 2022 წ გეგმა | 2023 წელი პროგნოზი | 2024 წელი პროგნოზი | 2025 წელი პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 4801.7 | 5,026.30 | 5 816,6 | 5,383.75 | 5,527.79 | 5,759.13 |
| 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 635.6 | 1,029.00 | 1 151,9 | 1,120.00 | 1,119.00 | 1,180.00 |
| 01 02 | მესტიის მუნიციპალიტეტის მერია | 2396,3 | 3 252,0 | 3 824,5 | 3,464.50 | 3,601.03 | 3,691.58 |
| 01 03 | სარეზერვო ფონდი | 0 | 200.00 | 300,0 | 300.00 | 320.00 | 350.00 |
| 01 04 | წინა პეროდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი | 1082,1 | 388.70 | 385,0 | 390.25 | 415.76 | 421.55 |
| 01 04 02 | მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა | 1082,1 | 388.70 | 385,0 | 390.25 | 415.76 | 421.55 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01 05 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 74,5 | 96.60 | 105,2 | 38.00 | 38.00 | 42.00 |
| 01 06 | საგანგებო ბიუჯეტი | 543,8 | 50.00 | 50,0 | 50.00 | 50.00 | 50.00 |

| დასახელება | 202 წელი პროგნოზი | 2021 წლის გეგმა | სულ 2022 წელი | 2023 წელი პროგნოზი | 2024 წელი პროგნოზი | 2025 წელი პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსულობები | 26 510,4 | 11888.20 | 17 631,4 | 17669.30 | 19767.90 | 21172.40 |
| შემოსავლები | 24 103,2 | 11888.20 | 17 631,4 | 17669.30 | 19767.90 | 21172.40 |
| გადასახადები | 12 713,6 | 10263.20 | 15691.40 | 15869.30 | 17847.90 | 19937.40 |
| საშემოსავლო გადასახადი | | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | |
| ქონების გადასახადი | 8 989,0 | 5800.00 | 9600.00 | 8255.00 | 8330.00 | 8040.00 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 7 135,9 | 5780.00 | 9580.00 | 8230.00 | 8300.00 | 8000.00 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 6,4 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 1 835,9 | 20.00 | 20.00 | 25.00 | 30.00 | 40.00 |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 3 724,7 | 4463.20 | 6091.40 | 7614.30 | 9517.90 | 11897.40 |
| გრანტები | 9 428,5 | 125.00 | 140.00 | 125.00 | 125.00 | 125.00 |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| კაპიტალური ს | | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | |
| მიმდინარე | | 125.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | |
| გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან | 9 428,5 | 125.00 | 140,00 | 140.00 | 140,0 | 140.00 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | |
| მიზნობრივი ტრანსფერი | 636,0 | 125.00 | 140,0 | 140.00 | 140,0 | 140.00 |
| კაპიტალური ტრანსფერი | 8 792,5 | | 0.00 | 0.00 | 0.00 | |
| სოფლის მხარდაჭეის ფონდი | | | 0.00 | 0.00 | 0.00 | |
| სხვა შემოსავლები | 1961,0 | 1500.00 | 1800.00 | 1660.00 | 1780.00 | 1095,0 |
| პროცენტები | 624,9 | 500.00 | 300.00 | 535.00 | 585.00 | 405.00 |
| რენტა | 1061,3 | 840.00 | 1330.00 | 940.00 | 1000.00 | 600.00 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 224,1 | 120.00 | | 140.00 | 150.00 | 90.00 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 201,4 | 120.00 | 130.00 | 140.00 | 150.00 | 90.00 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 132,5 | 50.00 | 55.00 | 60.00 | 65.00 | 50.00 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 68,9 | 70.00 | 75.00 | 80.00 | 85.00 | 40.00 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | | | 0.00 | 0.00 | 0.00 | |
| სანქციები (ჯარიმები და საურავები) | | 40.00 | 40.00 | 45.00 | 45.00 | |
| ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | |
| | | | 0.00 | 0.00 | 0.00 | |
| არაფინანსური აქტივების კლება | 2 417,1 | | 0.00 | 0.00 | 0.00 | |
| შემოსულობა არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან | | | 0.00 | 0.00 | 0.00 | |
| | | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | |